# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 3 ივლისი, 2013 წელი.

№123 (7250)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


# რას გაუგებ ნაციონალების გენერალურ ფაშვისტ სააკაშვილს?!.

## ეს ის დიდი თანამდებობისთვის დაბადებული კაცია, რომელსაც პრეზიდენტობა არა და არ ეთმობა, ანუ, ბოლოს და ბოლოს, როდის გაიმართება საპრეზიდენტო არჩევნები?

რაც დრო უფრო იწურება, წრე ვიწროვდება და სააკაშვილს საპრეზიდენტო ჟანგბადი ეწურება, ანუ საპრეზიდენტო ჟანგბადის ბალიში ეჩუტება, როგორც ასეთ დროს ამბობენ, სააკაშვილი — პრეზიდენტი აშკარად სულს ღაფავს... და აი, ამ საპრეზიდენტო უჟანგბადობის ჟამს გამოდის უკვე კარგა ხნის ყავლგასული ფაშვისტ ნაციონალთაგან სახრინავზე გაყვანილი ქვეყნის პრეზიდენტის პრესსპიკერი, ეს ჩვენი ნაჟურნალისტარი კოხტაპრუწა მანანა მანჯგალაძე და საპრეზიდენტო არჩევნების ვადად 2013 წლის 27 ოქტომბერს გვიცხადებს, პირველ ივლისს სააკაშვილმა ხელი მოაწერა განკარგულებას და აღნიშნული სამართლებრივი აქტი უკვე ხელმოწერილიაო...

მაგრამ მანანიკოზე ბევრად უფრო უფროსი სპეცსპიკერი, ანუ შინაგანი დემონის ხმა, არ ასვენებს 9-წლიანი პირველკაცობით აშკარად გაყვინჩილებულ სააკაშვილს და ჯიუტად ეკითხება, რატომ კარგავ, შე მთავარო ფაშვისტო, უძვირფასეს საპრეზიდენტო ოთხ დღეს?! ხომ შეგიძლია, რომ ეს ოთხი დღე კიდევ იპირველკაცო! შენი ნებით რატომ იკლებ მთელ ოთხ დღეს?!.

და ნახევარ საათში ახალ განკარგულებას ეწერება ხელი — საპრეზიდენტო არჩევნები ახლა 31 ოქტომბერს ინიშნება...

მაგრამ ფრიად საეჭვოა, ვითომ ეს კია საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო თარიღი?!.

*P.S. მოქმედება ხდება დაობლებული პრეზიდენტის სასახლისა და თვალგადაუწვდენელი ყვარლის მამულების ფონზე. შორით მოისმის ჯერჯერობით ფარხმალდაუყრელ ნაციონალთა ახალი პრეზიდენტობის კანდიდატთა (ბაქრაძე, ბარამიძე, ჯაფარიძე, მალაშხია) კოჰაბიტაციური ბოყინი...*



## შეეშალა თუ შეიშალა?

საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, კვირის ნებისმიერ დღეს ნებისმიერი არჩევნები შეიძლება ჩატარდეს, გარდა — საპრეზიდენტო არჩევნებისა.

ამასთან დაკავშირებით საარჩევნო კოდექსის მეექვსე მუხლში წერია: „მორიგი არჩევნები, რეფერენდუმი, პლებისციტი, გარდა საპრეზიდენტო არჩევნებისა, შეიძლება ჩატარდეს კვირის ნებისმიერ დღეს. კენჭისყრის დღე უქმე დღეა“.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ იურისტმა კახა კახიშვილმა განუმარტა, კანონის ეს ჩანაწერი ნიშნავს, რომ არჩევნები შეცდომით დანიშნეს 31 ოქტომბერს, რადგან 31 ოქტომბერი ხუთშაბათია!

## დღის ამფრაზურიდან

**ამ დღეებში გაგონილი:**

*— ეგ სააკაშვილი ნაღდად ძაღლის გეჯაშია მონათლული, მაგის პრეზიდენტობიდან წასვლა ვაითუ პრეზიდენტად არჩევაზე ბევრად უფრო გაძალლდეს.*

## ბოლო გაჭირვება, ანუ „ოთხი დღის მათხუარი“ ②

## უცხოური პრესიდან

**მხოლოდ დღის მეორე ნახევარში შეძლეს ქართველებმა, გაეგოთ, როდის უყრიან კენჭს ახალ პრეზიდენტს** ⑧

## ისევე უნდა გავასამართლოთ, როგორც ფაშისტები გაასამართლეს ნიურნბერგში ③



**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

◎ დაცემის პროცესი...

# ნაცებისა და უზულავას გულაობის პერიოდი დასრულდა



**ამის შესახებ დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" წევრმა ჯაბა სამუშიამ გუშინ „პრაიმტაიმის" პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

მისი თქმით, ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა" უმცირესობაში გადავიდა, ეს მნიშვნელოვანი გამარჯვებაა, რის შემდეგაც, თბილისის საკრებულოში იწყება ჯანსაღი პროცესი. სამუშიას ინფორმაციით, უახლოეს სხდომაზე, საკრებულომ უნდა დაიწყოს მთელი რიგი უფლებამოსილებებისა და კომპეტენციების მერიისგან დაბრუნების პროცესი. ეს კი საკრებულოს საშუალებას მისცემს გადაიხედოს თბილისის მერიის რეგლამენტი, თბილისის რაიონების დაყოფის საკითხი და სხვ. სამუშიას თქმით, უმრავლესობის ფორმირების შემთხვევაში, საკრებულოში დედაქალაქის მერის მოსმენის საკითხსაც დააყენებენ.

ჯაბა სამუშიას ინფორმაციით, საკრებულოს შესახებ კანონი უფლებამოსილებას ანიჭებს, რომ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მერი დაიბარონ და მერიის სხვა თანამშრომლები. ამასთან, მისივე თქმით, ბევრ ფინანსურ დოკუმენტს გრიფი „საიდუმლო" დაედო, არადა, აღნიშნული დოკუმენტები გრიფს არ იმსახურებდა.

– სააკაშვილის მიერ 2004-2008 წლებში განხორციელებული „რეფორმის" შედეგად მივიღეთ კასტრირებული საკრებულო, რომელსაც ერთადერთი ფუნქცია დაუტოვეს – ბიუჯეტის მიღება, – განმარტა სამუშიამ და დასძინა, რომ ამიერიდან საკრებულო გაცილებით უფრო ცოცხალი იქნება, ვიდრე ის იყო ერთი წლის წინათ.

ამასთან, ჯაბა სამუშიამ საკრებულოს თავმჯდომარის ზაალ სამადაშვილის გადარჩევისა და საკრებულოს თავმჯდომარედ საკუთარი კანდიდატურის დაყენების შესახებაც გააკეთა კომენტარი.

ჯაბა სამუშიას ინფორმაციით, უახლოეს მომავალში ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" ბაზაზე კიდევ რამდენიმე ფრაქცია შეიქმნება.

როგორც მან აღნიშნა, თვის ბოლომდე „ნაციონალური მოძრაობის" დატოვებას სულ მცირე 6 ადამიანი აპირებს, რის შედეგადაც, თბილისის საკრებულოში მინიმუმ ორი ახალი ფრაქცია შეიქმნება.

◎ კიდევ ერთი თავსატეხი

# ვინ აღადგენს პარლამენტის გაპარტახებულ დარბაზს?

**რუსთაველის გამზირზე მდებარე პარლამენტის შენობის C კორპუსის სარემონტო სამუშაოები თითქმის დასრულებულია. ამასთან, პარლამენტის აპარატი შესყიდვების გამარტივებული წესით, პირდაპირი მოლაპარაკების გზით იმ ფირმას ეძებს, რომელიც სხდომათა დარბაზების აღდგენა-რეკონსტრუქციას განახორციელებს.**



**გარდა ამისა, გამოცხადებულია კონკურსი C კორპუსის საძირკვლის გამაგრების პროექტირებაზე, რომლის შედეგებსაც პარლამენტის აპარატს დაახლოებით ერთ კვირაში ჩააბარებენ.**

პარლამენტის შენობასთან დაკავშირებულ ამ პროცესებზე „ინტერპრესნიუსს" პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილე შოთა გოშაძე ესაუბრა.

გოშაძის ცნობით, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომელიც პარლამენტის C კორპუსში მიმდინარეობს და, რომელსაც ფირმა „ორნამენტი" ახორციელებს, 19 ივლისს დასრულდება. მისივე თქმით, გამოცხადებულია კონკურსი C კორპუსის საძირკვლის გამაგრების პროექტირებაზე და შედეგებზე პასუხს დაახლოებით ერთ კვირაში ჩააბარებენ.

რაც შეეხება სხდომათა დარბაზების აღდგენა-რემონტს, აქ შედის: პლენარულ სხდომათა დარბაზის, კინოდარბაზის, ილია ჭავჭავაძისა და პირველი რესპუბლიკის სახელობის დარბაზების რეკონსტრუქცია და ტექნიკური აღჭურვა. როგორც ცნობილია, აღნიშნულ სამუშაოებზე პარლამენტის აპარატმა ტენდერი აპრილის დასწყისში გამოაცხადა, თუმცა, უშედეგოდ დასრულდა. ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა არც ერთმა ფირმამ არ აიღო, რაც ძირითადად, გახმოვანების სისტემების დამონტაჟების სირთულეს უკავშირდებოდა.

ახლა უკვე არსებობს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განკარგულება, რომელიც ამ მიმართულებით სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული წესით განხორციელებას ითვალისწინებს. კერძოდ, ივანიშვილმა 13 ივნისს გამოსცა განკარგულება, რომლის საფუძველზეც პარლამენტის აპარატს სხდომათა დარბაზების ადგენა-რეკონსტრუქციის, ავეჯის, განათების, საკონფერენციო და კენჭისყრის, გახმოვანებისა და სინქრონული თარგმნის, სტენოგრაფირების, ვიდეოჩანაწერის, ვიდეოკონფერენციის, საპროექციო და ვიზუალუზაციის სისტემების გამარტივებული შესყიდვის შესაძლებლობა მიეცა.

პარლამენტის შენობის აღდგენისათვის ჯამში 10 მილიონი ლარია განსაზღვრული. აღნიშნული თანხის ფარგლებშიც გათვალისწინებულია ყველა ზემოაღნიშნული სამუშაოს შესრულება.

**ინტერპრესი**

◎ SIC!

# ბოლო გაჭინთვა, ანუ „ოთხი დღის მათხუარი"

## ამაზრზენი მიშას კიდევ ერთი მაიმუნობა

**1 ივლისს მიხეილ სააკაშვილის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ სავსებით ოფიციალურად განაცხადა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები 27 ოქტომბერს, ოქტომბრის ბოლო კვირა დღეს დანიშნა და შესაბამისი თხოვნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიასაც მიმართა.**



ამის შემდეგ, არ გასულა რამდენიმე საათი, და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა ანდრო ბარნოვმა „ტექნიკური შეცდომა" უწოდა პრეზიდენტის პრესსპიკერის ოფიციალურ განცხადებას და გამოაცხადა, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილებით არჩევნები გაიმართება არა 27 ოქტომბერს, კვირას, არამედ 31 ოქტომბერს – ხუთშაბათს! და მიმართა ცესკოს წინა გადაწყვეტილების ჩასწორების თხოვნით!

ფეისბუქზე უკვე ახალი ეპითეტი დაიმსახურა მიხეილ სააკაშვილმა – **„ოთხი დღის მათხუარი"**.

მაგრამ არის კი ეს მხოლოდ კაპრიზი? თუ ამ 96 საათისთვის ბატალიის უკან რაიმე კონკრეტული შედეგის მიღწევის სურვილია?

საქმე იმაშია, რომ მიხეილ სააკაშვილი გამწარებული იბრძვის თავისი ბოლო ოცნების ასასრულებლად – მას უნდა, რომ ევროკავშირის ვილნიუსის სამიტს, რომელიც 27-28 ნოემბერს იმართება, პრეზიდენტის რანგში დაესწროს (თავად განაცხადა ეს ნატოს გენერალური მდივნის საქართველოში ყოფნისას გამართულ ბრიფინგზე). დარწმუნებული ვარ, მიხეილ სააკაშვილი ვილნიუსში ეცდება ხელი შუშალოს, თავისი პირადი კონტაქტების და კულუარული შეხვედრების გამოყენებით, საქართველოსთვის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის გადადებას – იმ საბაბით, რომ საქართველოში თითქოს პოლიტიკური დევნა ხორციელდება!

ერთი შეხედვით, სააკაშვილისთვის სამწუხაროდ, 4 დღით გადადება თითქოს არაფერს ცვლის. კონსტიტუციით ახალი პრეზიდენტი არჩევნების დღიდან მესამე კვირა დღეს ფიცს დებს. მაგრამ ამ ტერმინის ინტერპრეტირება ორგვარად შეიძლება – ზოგი თვლის, რომ მესამე კვირა დღე ნიშნავს „სამი კვირის შემდეგ", ანუ 27 ოქტომბრის შემთხვევაში ეს იქნებოდა 17 ნოემბერი, მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ პირველ კვირა დღედ სწორედ თავად არჩევნების კვირა დღე შეიძლება ჩაითვალოს, მაშინ არაა გამორიცხული, რომ 27 ოქტომბრის არჩევნების შემთხვევაში ინაუგურაცია 10 ნოემბერს დაინიშნოს, ხოლო 31 ოქტომბრის შემთხვევაში კი მესამე კვირა დღე ნამდვილად 17 ნოემბერი გამოდის!

თითქოს დიდი ვერაფერი ბედენაა, მიშას როდის მოუწევს პოსტის დატოვება – 10 ნოემბერს თუ 17-ში, ვილნიუსის სამიტზე დასწრების ბილეთს იგი ნებისმიერ შემთხვევაში კარგავს.

მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ პრეზიდენტი პირველ ტურში ვერ იქნა არჩეული, მაშინ მეორე ტური ინიშნება ორი კვირის შემდეგ. ორი კვირა 27 ოქტომბრიდან იქნება 10 ნოემბერი (კვირა), ხოლო 31 ოქტომბრიდან – 14 ნოემბერი (ხუთშაბათი). თუ ზემოხსენებულ ინაუგურაციის დღეს გამოვთვლით, პირველ შემთხვევაში, თუ თავად 10 ნოემბერი „პირველ კვირა დღედ" ჩაითვლება, მაშინ მესამე კვირა დღე 24 ნოემბერი გამოვა და მიშა ვილნიუსის ბილეთს კარგავს, ხოლო 14 ნოემბრის მეორე ტურის შემთხვევაში მესამე კვირა დღე – 1 დეკემბერი გამოდის. ე.ი. ამ შემთხვევაში 27-28 ნოემბერს ვილნიუსში სწორედ მიშა მოგვევლინება საქართველოს ჯერ კიდევ პირველ პირად (და ძალიან კოჭლ, მაგრამ მაინც თავმომწონე იხვად!)

აი, რით არის განპირობებული ეს „4 დღის მათხოვრობა".

მიხეილ სააკაშვილი ბოლომდე კბილებით იბრძვის და იმედია აქვს, რომ წასვლის წინ კიდევ ერთი მწარე მაიმუნობის ჩადენას მოასწრებს, არა მარტო ახალი მთავრობის, არამედ – ქართველი ხალხის მიმართაც!

ამას ისიც დაამატეთ, რომ ხუთშაბათ დღეს არჩევნების დანიშვნით მიხეილ სააკაშვილი უკვე მეორედ (2012 წლის 1 ოქტომბრის მსგავსად) თამაშგარე მდგომარეობაში ტოვებს ლამის მილიონნახევრიანი ქართული დიასპორის დიდ ნაწილს – ყველა იმათ, ვინც სამუშაო დღეს სხვა ქალაქებიდან საკონსულო ცენტრებში ჩამოსვლას და ხმის მიცემას ვერ მოახერხებს – სავარაუდოდ, ეს რამდენიმე ასეული ათასი ამომრჩევლის საარჩევნო უფლების ფეხქვეშ გათელვაა!

ვფიქრობ, **საქართველოს პარლამენტმა უნდა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტის ამ ბრძანებულების გაუქმების მოთხოვნით.**

**და საერთოდ, უნდა დაკანონდეს, რომ საქართველოში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები უნდა ტარდებოდეს მხოლოდ უქმე დღეებში.**

**სოლომონ თერნალი**

◎ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● ნაცებო, ახლა დაიწყება სააკაშვილისთვის მიწერილი თქვენი წერილების კოკისპირული წვიმა... დაასწარით ბელადს! :)

● ნენააააააა, რავა დაჭამეს ერთმანეთი.

მიშა წერილს აქვეყნებს, როგორ სთხოვა კოკიმ ბიზნესის გადარჩენა და როგორ ედითირამბებოდა, ფუუუუუუ, კაკ ნიზკა.

მიშას საქციელზე ვამბობ, რა მდაბიო საქციელია... კოკიზე აღარ ვსაუბრობ, თავისიც ეყოფა... ისედაც დილიდან სლოკინი ვერ გაუჩერეს :)

● კიდევ რამდენი ათწლეული სჭირდება ჩვენ ქვეყანას, რომ არჩევნებიდან-არჩევნებამდე არ იცხოვროს მოსახლეობამ? ვფიქრობ, ბევრი ჩვენგანი მაგას ვერ მოვესწრებით, მაგრამ იქნებ ის მაინც შევძლოთ და გავაკეთოთ, რომ ჩვენს შვილებს არ მოუწიოთ ქაოსში ცხოვრება. ქვეყნის მიმართულება და ორიენტირი, ყველა პარტიისათვის ერთი უნდა იყოს! უმთავრესი მშვიდობა და სამართალია...

● წაქცეულს არ ურტყამენო ნათქვამია, მაგრამ ახლა მიხვდი, კოკი? თუ „მიგახვედრეს"? შე ... ჩემი ცოდვით სავსე, 9 წელი მიმტკიცებდი ავაყვავეთ საქართველოო, ბნელიდან გამოგიყვანეთო ...

ეხ კოკი, კოკი.




● ქობულეთელ ბავშვს ეკითხებიან: ვინ გინდა გამოხვიდე?

– პასუხი: მდგმური :)

● რა საოცარიც უნდა იყოს, დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობისა და უმუშევრობის მიზეზი საქართველოში სწორედ საბჭოთა წარსულია...

● გააპატურაებიდან გაუპატიურებამდე ერთი ნაბიჯია (ხალხური).

● თეა ფირცხალავა

დღეიდან მშობიარობა უფასო იქნება!

ქეთი, დედა, გეფიქრა მეხუთე შვილზე. ჩვენც ვნახოთ რამე სარგებელი ამ მთავრობისგან :)

● დღეს ცესკომ უარი უთხრა საქართველოს პატრიოტთა ალიანსს რეფერენდუმის ჩატარებაზე საპარლამენტო რიგგარეშე არჩევნების შესახებ!

გილოცავთ! წარმატებით გრძელდება ოპერაცია რესპუბლიკური პარტიის ხელისუფლებაში მოყვანის და ნაცების შენარჩუნებისა ქართულ პოლიტიკაში...

● ნამდვილი ოლია მათხოვარია.

ოქტომბრის ბოლო კვირა 27-ია, მაგრამ მიშა ვერ ელევა თავის სამარცხვინო და უბადრუკ მდგომარეობას და არჩევნები 31 ოქტომბერს დანიშნა!

● შენც კოკიუს?

● ძნელად გვარგამოსათქმელო კოკი:

რომელ ჯიბეში გაქვს გაუნაღდებელი საკრედიტო ბარათები?

● Misha Tavkhelidze: მედია, ეკლესია, პროკურატურა და სასამართლო სააკაშვილის მთავარი შეცდომებია, რომლებიც ახლა შეუბრუნდა და ძირავს.

● მიხეილ სააკაშვილო, აი კოკი რო გეტყვის „ამაზრზენი ხარო", ან საფერფლე უნდა ჩაარტყა, ან უნდა წახვიდე.

რომელს გააკეთებ, ეგ უკვე ბაქრაძესთან გადაწყვიტე.

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

# ავაჰმე, ჩემო ქვეყანავ!



# ისევე უნდა გავასამართლოთ, როგორც ფაშისტები გაასამართლეს ნიურნბერგში



**ამერიკის სენატში მიღებული რეზოლუცია თუ განცხადება, განსხვავებული ინტერპრეტაციების მიუხედავად, ჩვენმა პოლიტიკურმა სპექტრმა მთლიანობაში მაინც ერთნაირად აღიქვა...**

დიახ, ეს აღარ იყო, არც „ვაშინგტონ პოსტის“ თუ ზოგადად სხვა „ტაიმს-პოსტების“ ლაი-ლაი, რომელსაც შეიძლება იგნორი გაუკეთო; არც ევროსაბჭოს სახალხო პარტიის მკაცრი, მაგრამ მაინც უილაჯო ლუღლუღი, რომელსაც შეიძლება ეპისტოლარულად უპასუხო, ან საერთოდ „დაიკიდო“, არც უკვე ანეკდოტურად ყბადაღებული კოჰაბიტაციისკენ მორიგი მოწოდება, არამედ ეს იყო, ამერიკელ სენატორთა ღია, აქამდე უპრეცედენტოდ ერთმნიშვნელოვანი, ყოველგვარი დიპლომატიური რევერანსების გარეშე გამოხატული მხარდაჭერა პირადად ვანო მერაბიშვილის მიმართ და, რა თქმა უნდა, უპირველესად სააკაშვილის, როგორც დემოკრატიის „ვარსკვლავბიჭუნას“ და, ზოგადად, ნაციონალური მოძრაობის მიმართაც, რაც ერთის მხრივ ქართველი ხალხისთვის სულში მორიგი ჩაფურთხება იყო და, მეორეს მხრივ, სიგნალი ბიძინა ივანიშვილის მიმართ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და აკი საქართველოს პრემიერმა, აღარც გააგრძელა — სამეგრელოში იმ სამალავების „დროულად პოვნა“, შემზარავი კადრების გამომზეურება, ჩემი აზრით (და არა მარტო ჩემი)პირდაპირი რეაქცია იყო ბიძინა ივანიშვილისა, რომელიც ამ ნაბიჯით ვაბანკზე წავიდა!

ანუ ამის იქით, როგორც იტყვიან — „უკანდასახევი გზა არ არის“ და ძალიანაც კარგი თუ „არ არის“. ახლა კოჰაბიტაციაზე ლაილაი კი არა, ვინც დასაჭერია და რაც გამოსამზეურებელია, უნდა დაიჭირო და გაასაჯაროვო და რაც მეტი თუ სწრაფად, მით უკეთესი ქვეყნისთვისაც და პირადად პრემიერისთვისაც — ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილს ქართველი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა გარანტირებული აქვს და ეგება ფაქტების წინაშე აღმოჩენილმა ამერიკელებმაც, რომლებიც ტრადიციულად შფოთავდნენ და ახლა შოკში ვართო, გაიძახიან, იქნება მოეშვნენ სიაფანდზე შფოთვა-შოკვას და ერთხელ და სამუდამოდ მოკეტონ!?

მაგრამ, მოდით, ყველაფერზე შეძლებისდაგვარად გამოწვლილვით...

დიახ, ამერიკელი სენატორების პირით, მორიგად სულში ჩაგვაფურთხეს ჩვენმა ამერიკელმა „მეგობრებმა“! მორიგად, რადგან მანამდე რომელი ერთი ჩაფურთხება გავიხსენოთ: ბუტა რობაქიძის მკვლელობა პირველი ნიშანი იყო იმისა, რომ „დანიის სამეფოში ყველაფერი რიგზე ვერ არის“, შემდეგ ე.წ. ციხის ბუნტის სასტიკი ჩახშობა, სანდრო გირგვლიანი, „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში“, ივანე მერაბიშვილის „ხელი არ აგიკანკალდეთ“ და აქედან, ზურა ვაზაგაშვილი და ასობით ჩაცხრილული ახალგაზრდა... იხილეს, მაგრამ „ვერ დაინახეს“, არ უნდოდათ დანახვა, რომ „დემოკრატიის შუქურამ“, როგორც მინიმუმ, ავისმომასწავებელი ციმციმი დაიწყო!

2007 წლის 7 ნოემბერი კი ის თარიღია, როდესაც მთელმა მსოფლიომ იხილა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას თურმე უკვე რეჟიმის კონტურები შეუძენია — 7 ნოემბრის დარბევა რა იყო, თუ არა ე.წ. სისტემური დანაშაული?

რუსთაველზე პოლიციის მიერ სასტიკად დარბეული მშვიდობიანი აქცია, შემდეგ რიყეზე ნადირობა, ტელევიზიის დარბევა, „განთავისუფლებულ“ რუსთაველზე ჯერ „სულს ამოგხდით“ და შემდეგ „მიშა, მიშას“ და „ბადრის რაა“? მორიგეობით სკანდირება „გამარჯვებულთა კოლონისა“, რომელსაც წინ ამ ყველაფრის მთავარი „შემოქმედი“ ვანო მერაბიშვილი მოუძღოდა, საქართველოში ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ვარდების რევოლუცია საშინელი ფარსი ყოფილა და მისი „დემოკრატიის შუქურა“ მყრალი ჭრაქივით ახრჩოლდა!

მიუხედავად ამისა, სულში ფურთხება კვლავ გააგრძელეს ოკეანესგაღმელმა აქლემებმა, როდესაც ჯერ სააკაშვილი „სპონტომ გადააყენეს“, შემდეგ გადაყენებული ისევ პრეზიდენტად წამოგვიყენეს, მიუხედავად იმისა, რომ გაყალბებული არჩევნების „გადაყენება-აყენებას“ ნახევარი მილიონი კაცი აპროტესტებდა იპოდრომზე!

ახლა ცოტა სწრაფად გავიაროთ ამერიკელთა შედარებით ლაითად ფურთხება, ანუ, ქალაქურ ჟარგონზე თუ ვიტყვით, „გადაწიტება“, რასაც 2008 წლის გაყალბებული საპარლამენტო არჩევნები ჰქვია. ლაითად, რადგანაც იმ დროს ქართველ კაცს სრული აპათია დაეუფლა პოლიტიკური პროცესების მიმართ. ოპოზიციის უნიათობის, ხშირად გამყიდველობის გამო ყველაფერზე ხელი ჩავიქნიეთ და რომ არა აგვისტოს სამარცხვინო ომი, იქნებ მართლაც კიდევ 30 წელიწადი გაგრძელებულიყო ის კოშმარი, რასაც ვარდოსანი მანქურთების ხელისუფლება ერქვა!

2009 წლის 9 აპრილის იმედიანი დასაწყისი და კატასტროფულად უიმედო დასასრული!

ამაშიც, რა თქმა უნდა, ლომის წილი ამერიკელ დუჟმორეულ პოლიტიკურ აქლემებს უდევთ, მაგრამ ჩვენი გამყიდველი ოპოზიციის წვლილიც ნუ დაგვავიწყდება, რომელიც თურმე დღისით რომ პარლამენტის წინ ტრიბუნაზე „ვენებს იხსნიდა“, საღამოს ნაც მაღალჩინოსნებთან ერთად აწყობდა გეგმებს, თუ როგორ ჩაექროთ აზვირთებული ხალხის ენერგია — ემანდ მართლა არ გადადგეს სააკაშვილი, მერე ჩვენ ვინლა აგვირჩევს და სარფიან ოპოზიციონერობასაც დავკარგავთო!

ჰოდა, აკი ჩააქრეს კიდეც არნახული მასშტაბის პროტესტი, როდესაც ერთი სტადიონი ხალხი მოხუც უწმინდესს მიაყენეს და ბოლოს ყველაფერი რვიან-ექვსიანის ადგილობრივი არჩევნების ფორმატში პოლიტიკურ ონანიზმში გადაიყვანეს!

2011 წლის 26 მაისის სასაკლაო რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა 2012 წლის 1 ოქტომბერი!!!

მაგრამ გავიხსენოთ შარშანდელი 17 მაისი, ანუ თბილისში პირველი გეიაღლუმის მცდელობა. პედერასტების პარადი, რომლის ჩაშლის მოთავე ვინ იქნებოდა, თუ არა მაშინ ჯერ კიდევ წინააღმდეგობის მოძრაობა და დღეს პოლიტიკური პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ (სპა), რომელთა შორის თქვენი მონამორჩილიც გახლდით!..

> **რატომ მხოლოდ ლუკაშენკო? ვითომ სააკაშვილმა რა დააშავა, როო? სააკაშვილი დემოკრატიის შუქურაა და ლუკაშენკო ტირანი? ბოლოს და ბოლოს, ბატკა მიშასავით საკუთარი ხალხის ხორცს მაინც არ ჭამს!**

ქართველთა ამ „ვანდალიზმს“ ოპერატიულად გამოეხმაურა და დაგმო მაშინდელმა დესპანმა ამერიკისამ ჯონ ბასმა, ხოლო მეორე დღეს საქართველოში აკრედიტებული მთელი დასავლეთის დიპკორპუსი დადგა პარლამენტის წინ „დაჩაგრული“ ქართველი პედერასტების გვერდით!..

განსხვავებით სისხლიანი 26 მაისგან, როდესაც არა თუ მართლაც დარბეული და დახოცილ-ნაწამები ხალხის გვერდით დადგა ამერიკა, არამედ მწვანე შუქი სწორედ ამერიკის დესპანმა, ბლანჟეცანცარა ჯონ ბასმა აუნთო სისხლიან კალოს! რის შემდეგაც მსუბუქი აღშფოთება-შეშფოთების მეტი (რასაც სულში ფურთხებისა არ იყოს, აგრეთვე, მიჩვეულები ვართ), სიტყვა არ დასცდენიათ ზოგადად სწორი დემოკრატიული მიმართულებით მავალი საქართველოს ხელისუფლების მიმართ, არც ბასს და არც სხვა ვინმე დასავლეთელს...

რატომ გავიხსენე ერთად ის 17 და 26 მაისი? პირველი იმის ხაზგასასმელად, რომ მართალია, ამერიკელთაგან მიჩვეულნი (ჩემი ჯეელობისას, ანუ კომუნისტების დროს, იყო ასეთი ლოზუნგი — „ვამბობთ ლენინს, ვგულისხმობთ პარტიას“, ვამბობთ პარტიას, ვგულისხმობთ ლენინს! ჰოდა, თქვენც ასე ჩათვალეთ — ვამბობ ამერიკას, ვგულისხმობ დასავლეთს და — პირიქით...) ვართ სულში ფურთხებას, მაგრამ შარშანდელი 17 მაისის ფურთხება მაინც მტკივნეულად აღიქვა ქართველმა საზოგადოებამ, სწორედაც, რომ სამწუხარო პარალელის გამო სისხლიან 26 მაისთან!

მეორე და უმთავრესი: დღესაც დაახლოებით იგივე ხდება — სამეგრელოში აღმოჩენილი ახალი, შემზარავი კადრების შემდეგ, ყველა ლოგიკით მხოლოდ ეს უნდა იყოს ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ განსჯის მთავარი საგანი და თანაც ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე, რომ ეს სისტემური დანაშაულია!

მაგრამ, არა, თქვენ წარმოიდგინეთ იმ დიპკორპუსის, როგორც მინიმუმ ნახევარს, რომელმაც საკუთარი თვალით იხილა შოკის მომგვრელი კადრები, ეჭვი ეპარება კადრების ავთენტურობაში და იმათ, ვისაც ეს არ აეჭვებს, არ უნდათ დაიჯერონ დანაშაულის სისტემურობა!

სამაგიეროდ, ერთსულ და ერთხორც ბრძანდებიან ა.წ. 17 მაისის შეფასებაში და ყველანი დამნაშავეთა დასჯას მოითხოვენ ყოველგვარი ეჭვის გარეშე, და ეს თემა ვერ გააფერმკრთალა მართლაც კაცობრიობის წინაშე ჩადენილმა დანაშაულმა. ამერიკელებისთვის გაცილებით პრიორიტეტულად მაინც პედერასტების თემა რჩება და ეს არის კიდევ ერთი მტკივნეული სულში ფურთხება!..

ამას წინათ, ალექსანდრე ლუკაშენკოს (ბატკა), რომელსაც ევროპის უკანასკნელ დიქტატორსაც ეძახიან დასავლეთში, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ცნობილმა პედერასტმა, გვიდო ვესტერველემ, ბელორუსიაში ადამიანის უფლებების დარღვევების გამო, სადღაც პრესაში უსაყვედურა და, რა თქმა უნდა, დიქტატორიც უწოდა!

ჰოდა, ბატკამ, არც აცივა, არც აცხელა და — პედერასტობას, ისევ დიქტატორობა მირჩევნიაო, მიახალა!

ჯერ ერთი, რატომ მხოლოდ ლუკაშენკო? ვითომ სააკაშვილმა რა დააშავა, როო? სააკაშვილი დემოკრატიის შუქურაა და ლუკაშენკო ტირანი? ბოლოს და ბოლოს, ბატკა მიშასავით საკუთარი ხალხის ხორცს მაინც არ ჭამს! არა, არც ბელორუსის ციხეა სანატორიუმი, მაგრამ ის, რაც ჩვენთან ხდებოდა, არა მგონია, რომ ბელარუსში კი არა, ოსვენციმში მომხდარიყოს!

ეგეც იქით იყოს და ევროპის „უკანასკნელ დიქტატორს“ სანტიმეტრი მიწა არ გაუსხვისებია და გრამი ეკონომიკისა არ მიუცია ვინმესთვის; მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაც კმაყოფილი ჰყავს პირველადი მოხმარების საქონელსა თუ საჭმელ-სასმელზე, კომუნალურ მომსახურებაზე საბჭოური, სიმბოლური ფასების გამო!

ჩვენი საქმეც დაახლოებით ასეა — გარეშე „მოკეთეები“ ჩამორჩენილებს, ბნელებს და ა.შ. შეურაცხმყოფელ ეპითეტებს არ იშურებენ ქართველი საზოგადოების იმ უმრავლესი ნაწილისთვის, რომლისთვისაც მიუღებელია ლგბტ-ს „პროგრესული ფასეულობები“, ანუ პედერასტების პარადები, საიდანაც ერთი ნაბიჯია ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებამდე და ამიტომ, როგორც იტყვიან, გოიმურად ვაწვებით პირველ, დედის საშოდან დაყოლილ ჩვენებას: კაცობის, ქართველობის, მართლმადიდებლობის, ეროვნულობის და ა.შ. მსგავსი „დრომოჭმული სისულელეების“ შესახებ!

რაც შეეხებათ შინაურ „მოკეთეებს“: ე.წ. არასამთავრობო სექტორის, ვაი თუ ვუი ჟურნალისტების, ახალი, „არანომენკლატურული შემოქმედებითი ინტელიგენციის“ თუ ცალკეული ხლისტი ნეოლიბერალების სახით, ზემოთ ნახსენებ „გოიმებს“ ენა შეგვაჩვიეს და შავრაზმელებს გვეძახიან!

ამას წინათ, გიგა ბოკერიას კნეინას თამარ ჩერგოლეიშვილს ჩემს მეგობარზე დაუპოსტია — გიორგი კორკოტაშვილი შავრაზმელიაო! ეგ არაფერი კორკოტ, მეც მანდა ვარ, „იუზგარ“, მაგათგან ჩვენნაირების ლანძღვა ლოცვასავით შეგვეწევა. ეგენი რომ ქებას დაგვიწყებენ, ეგ არის „აპასნი“, რადგან ბატკასი არ იყოს, ცისფერრაზმელობას ისევ „შავრაზმელობა“ გვირჩევნია...

თუმცა, დროებით ეგეც იქით იყოს და ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებისას, ყველანი ერთად და ცალ-ცალკე, როგორც იტყვიან, ფურუნკულებივით გასკდნენ! ანუ თავიანთი ნამდვილი სახეები, სხვა მიმართულებებითაც აჩვენეს...

ე.წ. „საია, „ახალგაზრდა იურისტები“, „ღია საზოგადოება საქართველო“, „სამართლიანი არჩევნები“, „იდენტობა“, ავად სახსენებელ „თავისუფლების ინსტიტუტთან“ ერთად, კლასიკური V კოლონის როლს ასრულებენ — დემოკრატიის კომუფლაჟით, შეფარვითა თუ აშკარად ებრძვიან ქართულ, ტრადიციულ ღირებულებებს!

იგივე ითქმის მედიაზონდერებზე, გნებავთ, მედიამეძავებზე (მე მაგათ ვერც ვაი და ვუი, მით უმეტეს „კოლეგა ჟურნალისტებს ვერ ვუწოდებ), რომლებიც 9 წლის განმავლობაში „აპრავებდნენ“ სააკაშვილის კაცთმოძულე რეჟიმს!

მოკლედ, ეს ის დასავლეთის გრანტიჭამია ორგანიზაციები და პიროვნებები ბრძანდებიან, რომლებმაც ამას წინათ შსს დაგეგმილი საშინელი კადრების ჩვენების ჩაშლა სცადეს და რა მიზნით?

რა და, როგორც იტყვიან, „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს“, ხოლო ჩემის მხრივ დავუმატებ — ყველანი ერთად კი, ანუ ნაცები და ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები და პიროვნებები, საკუთარი მამამარჩენლის, ლიბერასტული დასავლეთის ტყავს არ დაგლეჯენ!

ამ ხალხს არაფრით უნდათ, რომ სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, როგორც დამნაშავე რეჟიმი, ისე გასამართლდეს და როგორც ფაშისტურ პარტიას, ისე აეკრძალოს პოლიტიკური საქმიანობა!

აქედან იყო, რომ ზემოთ ხსენებულმა ორგანიზაციებმა „პროტესტის ნიშნად“ დატოვეს შსს-ში მიმდინარე პრესკონფერენციის დარბაზი და ახლა ყველაზე მეტს საუბრობენ იმაზე, რაც არ უნახავთ! (თუმცა, ვინ იცის, იქნებ ნანახიც აქვთ სხვა დროსა და ვითარებაში?)

ასევე ამიტომ აეშალათ კითხვების საღერღელი ღარიბაშვილის მიმართ ეკა კვესიტაძეს და დავით პაიჭაძეს — ჯერ ვინ მიგდია ეკა კვესიტაძე, რომ ულტიმატუმის ფორმით ეძახის საკუთარ „აქცენტებში“ შს მინისტრს, მართლა საზოგადოებრივი მაუწყებელი ჰგონია ის ტელევიზია, რომელსაც ბოლო მომენტამდე ყური არ გაუბერტყავს თვით 26 მაისის გამო?

ან დავით პაიჭაძე ვინა მყავს, რომ გაიძახის — ღარიბაშვილმა არ იცის, თუ რა მაგარი უფლებების დამცველი ვარო? ირაკლი მინისტრმა იქნებ არ იცის, მაგრამ ჩვენ გვახსოვს, რაზე გადიოდა ამ კაცის უფლებადამცველობა — ერეკლე დეისაძის მსგავს „ჟერტვა აბორტებზე“. სად იყვნენ ან ერთი და ან მეორე, საქართველოს სხვა შს მინისტრიც ჰყავდა და ასე დაჟინებით რატომ ივანე მერაბიშვილს არ აწვებოდნენ? ვინმეს ახსოვს ვანო მერაბიშვილის ინტერვიუ? ინტერვიუ კი არა, პარლამენტში არ კადრულობდა მისვლას ქვეყნის ხერხემალი, ყოვლის შემძლე მინისტრი და ერთხელ, როდესაც იკადრა მისვლა, მქუხარე აპლოდისმენტებით მიიღეს და გააცილეს სადისტური სისტემის დამფუძნებელი მინისტრი...

მთავარი პარადოქსი იცით რაშია? გამოკითხვა რომ ჩაატარო, ალბათ, 90 პროცენტი მაინც იტყვის, არ მსურს ეკა კვესიტაძის და დავით პაიჭაძის ეთერში ხილვაო და, მიუხედავად ამისა, ამ ბუდარა-ბუდარიხას ასტრონომიულ ხელფასებს, ჩვენი ჯიბეებიდან გვახდევინებენ!..

იხ. 7 გვ.

# შეგნებული სიმართლე თუ სიბეცე?

ასეთ უმარტივეს რაღაცებს რიგითი მოქალაქეები ვხვდებით და ვინ დაიჯერებს, რომ პოლიტიკაში და იურისპრუდენციაში ჭიპმოჭრილი ხალხი ვერ ხვდება?! არავინ! მაშ, რასთან გვაქვს საქმე? იმასთან, რაც ყოველთვის და ყველგან ხდებოდა და, რასაც ხალხის აქტიური პროტესტის გარდა, არაფერი არ შველის. მშვიდობიანი აქციებით დემოკრატიულ ქვეყნებში ვერ აგონებს ხალხი თავის ხმას ხელისუფლებას, არა თუ — ჯერ კიდევ გუშინ ავტორიტარული რეჟიმის მქონეებში (ამის მაგალითია, სულ ახლახან პარიზში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების წინააღმდეგ გამოსული მილიონი დემონსტრანტი, და გამოკითხვებით 80 %-ზე მეტი მოსახლეობის უარყოფითი პოზიცია, რომელთა ნება მაინც ერთ ადგილზე დაიკიდა დასავლური „დემოკრატიის“ მქონე საფრანგეთის ხელისუფლებამ!).

სამართლის აღსადგენად რადიკალური ზომების გატარება იყო საჭირო — ნაცმოძრაობის კადრებისგან უნდა განთავისუფლებულიყავით — მცირე ნაწილი პასუხისგებაში მიგვეცა, დიდი ნაწილი მოგვეხსნა. ეს იქნებოდა ოპტიმალური ვარიანტი, თუმცა, ამას ძალიან დიდი ალბათობით მოყვებოდა მკვეთრად უარყოფითი, სახელმწიფოს დამაზარალებელი რეაქცია დასავლეთში. მაგრამ ის მაინც ხომ შეიძლებოდა თავისუფლად, რომ ნაცების დანიშნულ(!) კადრებს თუ არ შევეხებოდით, იქ მოგვეხდინა ცვლა, სადაც სავარძლებში ვითომ ხალხის არჩეულები, სინამდვილეში კი, ნაცების დანიშნულები, ისხდნენ?! ყველასი და ყველაფრის ვადამდელი არჩევნები ტარდება მთელ მსოფლიოში და ჩვენთან ხელახალი არჩევნების ჩატარებაზე ვის რა ექნებოდა შემოსადავებელი?!

არჩევნები არსად არ ითვლება რადიკალურ ზომად და რატომ არ შეიძლებოდა ამ მეთოდის გამოყენება ჩვენს სინამდვილეშიც 1 ოქტომბერს გამარჯვების მოპოვებისთანავე?! ვინმე ვერ გაგვიგებდა, უსამართლოდ ჩათვლიდა ვადამდელ არჩევნებს?! გამორიცხულია! დემოკრატიული არჩევნების საწინააღმდეგო არგუმენტებს ხომ ვერავინ წამოგვიყენებდა, ასეთი არგუმენტები ბუნებაში არ არსებობს! ვინ იმბეცილი შეეცდებოდა იმის მტკიცებას, რომ ვადამდელი არჩევნები შერჩევითი სამართალია და რომ მას პოლიტიკური სარჩული უდევს, არგუმენტებად ვინ წამოგვიყენებდა ისეთ აბსურდულ ბრალდებებს, როგორსაც დღეს გვიყენებენ დასავლეთში! ნაცების მფარველებს წყნარად ავუხსნიდით, რომ ვინაიდან ცხრა წლის მანძილზე ყველა დონის არჩევნები წარმოუდგენელი გაყალბებებით ტარდებოდა და, ვინაიდან ამ ვადამდელ არჩევნებს ხალხი მოითხოვს დაჟინებით, ამიტომაც ვალდებული ვართ ჩავატაროთ და მის გამჭვირვალობაში ეჭვი რომ არავის შეეპაროს, ყველას გეპატიჟებით დამკვირვებლებადო. ამ ახსნა-განმარტება-შეთავაზებაში გაოცებაც უნდა გამოგვეხატა აუცილებლად — ცხრა წელია ხმა არ ამოგიღიათ საქართველოში გამეფებულ განუკითხაობაზე (თუ არ ჩავთვლით ჩვენი ხალხის აბუჩად ამგდებ თქვენს კანტიკუნტ „შეშფოთებებს“, რაც საქართველოს მოსახლეობაში დიდ გაღიზიანებას იწვევს დღესაც) და ახლა ვადამდელ არჩევნებზე რომ ტეხთ ერთ ამბავს, ამას თქვენი დემოკრატიის ენაზე ხომ საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა ჰქვია! ცხადია, ამ შინაარსის განცხადება დიპლომატიურ ენაზე გაკეთდებოდა!

**ხელისუფლების გაუბედავი ნაბიჯების შედეგებს დღეს ვიმკით ყველანი** — იქით კი ვერ ვუტევთ ნაცებს, პირიქით, აქეთ გვიტევენ დასავლეთის მხარდაჭერით გულმოცემულები. ამ „დემოკრატიულ“ დასავლეთს ხომ ერთი ვაი-უშველებელი აქვს ატეხილი თითო-ოროლა ნაცმოხელის დაპატიმრებაზე: ჯერ, — ესაოდა, შერჩევითი სამართალია, პოლიტიკური დევნააო; მერე, — აბა, ერთი შევამოწმოთ ევრორემონტიან საკნებში თუ იმყოფებიან ჩვენი „შუქურას“ მარჯვენა და მარცხენა ხელებიო, როგორ იკვებებიან, წიგნები და ტელევიზორი, ჟურნალისტები და მეგობარი მნახველები ხომ არ აკლიათო! და არც ერთ მათგანს ამ დასავლელი ჭირისუფლებისგან ერთი შუბლის ძარღვიც არ შეტოკებიათ, არც კი გახსენებიათ, რომ მათ არასოდეს არ ანაღვლებდათ სააკაშვილისდროინდელ ციხეებში არსებული კოშმარი (ამ მწარე სიმართლის ტრიბუნიდან ხმამაღლა მთქმელი, ადრესატამდე რომ მიაღწიოს ისე, ერთი პოლიტიკოსი არ არის დღეს პარლამენტში!).

სანამ თავის სახელს არ დავარქმევთ პარტიებს, ორგანიზაციებს თუ მოძრაობებს, სანამ სიმართლეს არ ვიტყვით ხმამაღლა, მანამდე კიდევ უფრო მეტ შეურაცხმყოფელ შენიშვნებს მივიღებთ დასავლეთისგან. რატომ არის საქართველოს ხელისუფლება სულ თავის მართლების პოზიციაში, რატომ უწევს მას სულ იმის მტკიცება, რომ არავითარ შერჩევით სამართალს, პოლიტიკური ნიშნით დევნას ჩვენთან ადგილი არა აქვს? ჩვენს სიმართლეში ჩვენ ხომ მაინც ვერავის ვერ ვარწმუნებთ, და ვერც დავარწმუნებთ უბრალო მიზეზის გამო — დაკითხულ-დაკავებულებიდან (და ახლო მომავალში დასაპატიმრებლებიდან) ყველანი ხომ ნაცმოძრაობის ლიდერები, პარტიის წევრები ან გამოკვეთილი აქტივისტები არიან! ჰოდა, თქვენი ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო გვაკვირვებსო, გვეუბნებიან სამართლიანად. განა, ამ უშედეგო თავის მართლებას არ ჯობია ვაღიაროთ ის, რაც სინამდვილეშია, რომ საქართველოში 2004-2012 წლებში (არჩევნებიდან არჩევნებამდე) ჩადენილი დანაშაულობებისთვის თუკი ვინმე არ დასჯილა და მომავალში დაისჯება, ყველა მათგანი აუცილებლად, მხოლოდ და მხოლოდ(!) ნაცმოძრაობის წევრი (ძირითადად, მაღალი თანამდებობის პირი) იქნება, და სხვა — არავინ! დანაშაულის ჩამდენი არანაციონალი, დაუსჯელი(!) არანაციონალი, უბრალოდ, ბუნებაში არ არსებობს! იქნებ რამე გარკვევით არ ვთქვი და უაზრობად მოეჩვენებათ ეს მტკიცება დასავლეთში? ნათქვამის ახსნას არ სჭირდება დიდი წვალება, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ხელისუფლება არც ცდილობს ამას, რატომღაც, თავის მართლება უფრო აწყობს, ვიდრე ბრალის იქით მტკიცება, რაც სრულებით არ არის ძნელი! ნაცების ხელისუფლების პერიოდში, 2004-2012 წლებში, აბსოლუტურად(!) ყველა თანამდებობა ყველა დონეზე ეკავათ მხოლოდ ნაცებს, მათ აქტივისტებს და სხვას — არავის; მათ მიცემული ჰქონდათ ყველანაირი დანაშაულის ჩადენის უფლება — ბიზნესმენებისთვის ქონების წართმევიდან დაწყებული უდანაშაულო ადამიანის ციხეში გამომწყვდევით დამთავრებული. ამ პერიოდში, სხვადასხვა სახის დანაშაულს, ცხადია, არანაციონალებიც სჩადიოდნენ, მაგრამ მათ ოპერატიულად და ათმაგად აზღვევინებდნენ— უმნიშვნელო დანაშაულზე (ხშირად ჩაუდენელზეც!) გაუგონარი სიმძიმის განაჩენები გამოჰქონდათ, ან საპროცესო გარიგებებით ისეთ ასტრონომიულ თანხას აწერდნენ, რომ მათხოვრად აქცევდნენ ციხის ჯოჯოხეთს გადარჩენილ ადამიანს. დაუსჯელი დანაშაული მხოლოდ ნაცებს ხელეწიფებოდათ და ისინიც, დაუსჯელობით თავგასულები ფიქრობდნენ, რომ მათი დანაშაულის (მკვლელობების ჩათვლით) მომკითხავი არასოდეს არ იქნებოდა არავინ. არანაციონალებს ხომ არათუ დანაშაულის ჩადენისთვის, არამედ ოპოზიციურ მიტინგზე მხოლოდ დასწრებისთვის (და არა იქ სიტყვით გამოსვლისთვის!) ტოვებდნენ ულუკმაპუროდ ხშირად, რიგითი მასწავლებლობიდანაც კი ათავისუფლებდნენ მეორე დღესვე. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ **თუკი დღეს ვინმე, ვისაც 2004-2012 წლებში აქვს დანაშაული ჩადენილი, განსასჯელის სკამზე მოხვდება, იგი 100 %-ში ნაციონალი იქნება.** ამიტომაც, ამ კუთხით თუ შევხედავთ, სამართალი უდავოდ შერჩევითი გამოგვივიდა, როდესაც ყველა დაპატიმრებული ერთი პარტიის წევრები აღმოჩნდებიან, ცხადია, პოლიტიკური სარჩულიც ადვილად დაედება პროცესს. დასავლეთის გასაჩუმებლად და ნაცების საამებლად სხვა პარტიების უდანაშაულო ხალხს ხომ არ დავიჭერთ ბალანსის დასაცავად?! კიდევ ვიმეორებ, დაუსჯელ არანაციონალს, სანთლითაც რომ ვეძებოთ, ვერ ვიპოვით საქართველოში! აბა, მაშ რა შავდება მხოლოდ დაუსჯელი ნაციონალების გასამართლებით? არც არაფერი! მაშ რა დაშავდება იმით, თუ ვაღიარებთ, რომ დიახ, საქართველოში დღეს ადგილი აქვს შერჩევით სამართალს, ოღონდ არა ხელოვნურს, არამედ ბუნებრივ(!) შერჩევით სამართალს; დიახ, დღეს ვასამართლებთ მხოლოდ ნაციონალებს, მაგრამ ვასამართლებთ და ვუსჯით, უფრო სწორად, გვინდა მივუსაჯოთ (ერთი მისჯილი მანახა წამლად!) არა პოლიტიკური ნიშნით, არამედ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით.

# ნაცები და ქოცები



რა გახდა ყოველივე ამის ახსნა ორმაგი სტანდარტების მქონე „დემოკრატიული“ დასავლეთისთვის (ბრჭყალებში, მისი „საშინაო და საგარეო“ სტანდარტების პოლიტიკის გამო ვსვამ)?! მაშინაც კი, როცა ამ ახსნას ვცდილობთ, სულ უარყოფის ფორმაში გამოვხატავთ ჩვენს სამართლიან ნაბიჯებს — არა, ბატონო, დაგვიჯერეთ, ჩვენ ასე არ ვიქცევით, გეფიცებით, ჩვენთან მსგავსი არაფერი ხდება და ა.შ. ეს ხომ უსუსური თავის მართლებაა! რატომ არ ვიყენებთ გაცილებით ეფექტიან ხერხს, უტყუარი სიმართლით გაჯერებულ დასტურის ფორმას — დიახ, ჩვენ შერჩევითად ვაპატიმრებთ მხოლოდ ნაციონალებს ამიტომ და ამიტომ; დიახ, 20 000-ზე მეტი საჩივრის მოპასუხე მხოლოდ ნაცები არიან და სწორედ ამიტომ, მომავალშიც, მხოლოდ ისინი მიეცემიან პასუხისგებაში, თქვენ გნებავთ შერჩევითი სამართალი დაარქვით ამას და გნებავთ — პოლიტიკური დევნა! დიახ, **საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, რომელმაც ჩვენ აგვირჩია, თვლის, რომ ნაცების და ნაცმოძრაობის გასამართლების გარეშე სამართალი საქართველოში არ დამკვიდრდება!** ასეთ შემთხვევაში, ყველას ბოქლომი დაედებოდა პირზე, ყოველ შემთხვევაში, იმასვე ხომ ვერ დაგვაბრალებენ, რასაც ჩვენი პირით ვაღიარებდით საჯაროდ! მაგრამ ამგვარი ახსნა-განმარტებების გაკეთებას, ანუ სიმართლის თქმას, პატიოსნებასთან ერთად, ცოტა გამბედაობაც სჭირდება. საქართველოს ხელისუფლებას კი ხეირიანად თავის მართლებისაც ეშინია, აქაოდა, უფროს „მეგობარს“ არ ეწყინოს ჩვენი შეპასუხებაო!

> **ასე მინავლებული სული არასოდეს გვქონია, ასე ღირსებაშელახული არასოდეს ვყოფილვართ, ამდენი მედროვე და მანქურთი არასოდეს გვყოლია**

2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, კარგა ხანს — რამდენიმე თვე, როდესაც ნაცების უტეხ გამოსვლებს ვუყურებდი, მეც სხვებივით ვბრაზობდი და იმაზე ვცოფდებოდი, ამ ტუტუცებს ამდენს როგორ ალაპარაკებენ-მეთქი. ახლა კი, ნერვები ისევ ისე, და მეტადაც მეშლება, მაგრამ უკვე სხვანაირად ვრეაგირებ — ახია, მეტის ღირსნი ხართ ქოცებო, რასაც ნაცები გეუბნებიან-მეთქი. ნაცებთან ჩახუტებული და დასავლეთისთვის მოუზომლად(!) თავწაღუნული ხელისუფლება კი არის მეტის ღირსი, მაგრამ ხალხმა რაღა დააშავა?! ხალხმა? როცა ზოგს „მწვანეების“ დაგროვება აქვს დასახული მიზნად ხელისუფლებაში და, ზოგსაც, — დაგროვილის შენარჩუნება, მაშინ ვის ახსოვს ხალხი! ხალხს, ჩვეულებისამებრ, იყენებენ და მერე ივიწყებენ. ხელისუფლებაში გამძვრალი „რჩეულების“ გათვლა მარტივია: ხალხი მომთმენია, მოიცდის, ცოტა ნაკლებს გავაწამებთ, ცოტა მეტ პურს მივცემთ, ენის მოსაფხანსაც არ გამოვულევთ, ამასობაში კი, ჩვენ საპარლამენტო, საპრეზიდენტო და სხვა საუფროსო ვადებს მოვილევთ; მერე ახალ არჩევნებში ახალი დაპირებებით და ტვინის გამორეცხვებით ისევ ავურევთ თავგზას ამომრჩეველს და ცხოვრების ბორბალი თავიდან დატრიალდება ზუსტად ისე, როგორც აქამდე ტრიალებდა, ასეთი მაგალითების მეტი რა იცის ისტორიამ. ეს ასეა ნამდვილად, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, უფრო სწორად „ხალხზე მაფიქრალ“ ამ ადამიანებს უნდა ახსოვდეს, რომ შიგადაშიგ ისეთი რაღაცებიც გამოერეოდა მათნაირების აწყობილ ცხოვრებაში, რომ თავბედს აწყევლინებდა და კარგი ცხოვრებისგან გასიებულ თავებსაც აკარგვინებდა!

ერთი ნაწყვეტი, 6 ივნისს ავღანეთში დატრიალებულ ტრაგედიასთან და იქ ჩვენს მონაწილეობასთან დაკავშირებით გაკეთებული, პრემიერის განცხადებიდან: „ჩვენ ვერაფერი ვერ გაგვტეხს, უკან ვერავინ დაგვახევინებს“. ოპტიმისტურ და ომახიან ნოტებზე საუბარი კარგია, მაგრამ, სამწუხაროდ, **დღეს რომ გატეხილები ვართ, ასე არასოდეს გვიგრძნია თავი. დამარცხებულები და სხვისი ნების აღმსრულებლები ბევრჯერ ვყოფილვართ, მაგრამ ქართული სისხლი მუდამ ყიოდა ძარღვებში, ასე მინავლებული სული არასოდეს გვქონია, ასე ღირსებაშელახული არასოდეს ვყოფილვართ, ამდენი მედროვე და მანქურთი არასოდეს გვყოლია, ქართული გენის ამოსაძირკვ ასეთ მიზანმიმართულ პოლიტიკას, თავისუფლების და დემოკრატიის ნიღბით ამდენ დაუფარავ გარყვნილებას და სახელმწიფო დანაშაულს ადგილი არასოდეს ჰქონია, ასე ფეხქვეშ გაგებული, სხვაზე ასე მიჩერებული, სახელმწიფო(!) ღირსებადაკარგული არასოდეს ყოფილა საქართველო!**

**ფაქტი ერთია, იმის გამო თუ** ამის გამო, დღესდღეობით საქართველოში თითქმის იგივე პოლიტიკა ტარდება, რაც ნაციონალების დროს, და ივანიშვილს რა აქვს გუნებაში, ეს მის მეტმა არავინ იცის. ამიტომ მარჩიელობა რომ არ დავიწყოთ, რაც სახეზეა იმ რეალობიდან, იმ საშინაო და საგარეო პოლიტიკიდან უნდა ამოვიდეთ და შესაბამისად ვიმოქმედოთ. **ხალხის ნების აღსრულებას ახალი საკანონმდებლო ძალაუფლება სჭირდება, მისი მოპოვება კი მხოლოდ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გზითაა შესაძლებელი.**

იმ პოლიტიკოსების განცხადება (ვინც თვალით ვეღარ იხილავს პარლამენტის სავარძლებს მომავალში), რომ სახელმწიფოში კრიზისი არ არის და აქედან გამომდინარე, ვადამდელი არჩევნების გამართვის აუცილებლობაც არ არისო, ღიმილის მომგვრელია. ეს მათთვის არ არის კრიზისი, კრიზისი ხალხისთვისაა და სწორედ ეს ხალხი ითხოვს ახალ არჩევნებს, რათა ბიძინა ივანიშვილის ხათრით(!) დაშვებული საკუთარი შეცდომა გამოასწოროს და, იმავდროულად, ივანიშვილიც გააფრთხილოს — თუ მას არ სურს უმრავლესობის დაკარგვა პარლამენტში, მეტი ყურადღებით მოეკიდოს პარტნიორების შერჩევას, გვერდში აღარ დაიყენოს „უსუფაშვილ-ალასანიას“ ტიპის პარტიები (პარტიები და არა — პატიოსანი ადამიანები, რომლებიც ცოტანი, მაგრამ ალასანიას პარტიაში მაინც არიან), შეეცადოს მხოლოდ საკუთარი პარტიის და ჭეშმარიტად ოპოზიციური ძალებით დააკომპლექტოს მომავალი პარლამენტი და ვადამდელი არჩევნებით არა მხოლოდ კიდევ ერთხელ დაამარცხოს ნაცმოძრაობა, არამედ — დაასამაროს იგი საბოლოოდ! არჩევნებით მაინც!

ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ყველანაირად ხელს შეუშლიან — ნაცებიც და ქართული ოცნების კოალიციაში შემავალი ნახსენები ორი პარტიაც, ხელს შეუშლის ამერიკაც. ვფიქრობ, განხორციელდება სხვადასხვა სახის პროვოკაციები უმცირესობათა (სექსუალური, რელიგიური, ეთნიკური) უფლებების დაცვის საფარქვეშ, არც სასაზღვრო ზოლშია გამორიცხული დაპირისპირება. იმავდროულად, ხალხის დასაშოშმინებლად, შესაძლოა, ავღანეთშიც შეამცირონ კონტინგენტი, ერთი-ორი ვიღაც გაასამართლონ და სასჯელიც აკიდონ, რამდენიმე ადამიანს ქონება დაუბრუნონ ან აუნაზღაურონ, უცხოელებზე მიწის გაყიდვა დროებით შეაჩერონ (მაგრამ არ აკრძალონ!), სავიზო რეჟიმიც ბევრ ქვეყნებთან ოდნავ გაამკაცრონ, მაგრამ არსებითი ცვლილებები ნატოსთან, რუსეთთან, ავღანეთთან, ნაცმოძრაობასთან, ჰომოსექსუალობასთან და მართლმადიდებელ დედაეკლესიასთან დამოკიდებულებაში, არ მოხდება!

ყველამ უნდა ვივარგოთ და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების არა მარტო დანიშვნას მივაღწიოთ, არამედ საქართველოს გულშემატკივარი პატრიოტი მამულიშვილები ავირჩიოთ, თუ გვინდა, რომ გადავრჩეთ როგორც ერი, როგორც არა მხოლოდ სახელად ქართველი ერი, არამედ შინაარსით — ენით, მსოფლმხედველობით, რწმენით ქართველი ერი! გვფარავდეს მაღალი ღმერთი ჩვენი თავის გადასარჩენ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში! მაგრამ, მარტო ღმერთის იმედად, ჩვენი მტერი იყოს! ღმერთი მაშინ ეხმარება ადამიანს, ერს, როცა იგი თავს გააქანებს და ხელსაც გაანძრევს!

**იაკობ ლეჟავა.**

**20 ივნისი, 2013 წელი**

**დასასრული. დასაწყისი იხ. № 122**

◉ ვიდეოკადრები, რომლებმაც შეძრა ქვეყანა

# ნაციონალური კეკლუცობა



**წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ამსახველი ვიდეომასალები, რომლებიც სამეგრელოს სამარხებში იქნა აღმოჩენილი, რამდენიმე დეპუტატმა ნახა. თუმცა, მხოლოდ უმრავლესობის რამდენიმე ლიდერმა, რადგან უმცირესობა, პოლიტიკური ბოიკოტის ფარგლებში, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომას არ დაესწრო და ხელისუფლებას ბრალი „ნაციონალური მოძრაობის“ საწინააღმდეგო ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნაში დასდო.**

ოპოზიციონერი დეპუტატის დავით დარჩიაშვილის შეფასებით, სხდომაზე სამეგრელოში 2011 წელს განხორციელებული მხეცური დანაშაულის ამსახველი კადრების ჩვენება ემსახურება არა საქმის არსში, საგამოძიებო დეტალებში გარკვევას და ბრალეულობის მასშტაბების განსაზღვრას, არამედ, კიდევ ერთხელ „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო ფრაქციის წევრების საწინააღმდეგო ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას.

**„კადრებზე აღბეჭდილ დანაშაულის ჩამდენებსა და ამ დანაშაულთან რაიმე ფორმით დაკავშირებულ ნებისმიერ სუბიექტს ვგმობთ და ვემიჯნებით. ამ დანაშაულის ჩადენის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გაგვაჩნდა და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ვაღიარებთ, რომ ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფნის დროს, მსგავსი რამ შეიძლებოდა ჩაედინა სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებს. ხოლო იმისთვის, რომ დეტალურად გაირკვეს, თუ სადამდე შეიძლება მიდიოდეს ამ დანაშაულის კვალი, საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას ვითხოვთ, რომელიც პოლიტიკური ანგაჟირებულობისა და ფსიქოლოგიური მანიპულაციების გარეშე იმ საკითხთა და დეტალთა ჩამონათვალს განსაზღვრავს, რომლის ობიექტური და მიუკერძოებელი განსჯა დანაშაულის გამოძიებას დაეხმარება“,** — აცხადებს დარჩიაშვილი.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე, ნაციონალების მოთხოვნას ცინიზმს უწოდებს და უმცირესობას აკრიტიკებს.

**„მათ შეეძლოთ კომისიის სხდომაზე მობრძანებულიყვნენ და თუ რაიმე აინტერესებდათ, კითხვები დაესვათ, მაგრამ მათი მოთხოვნა არის ცინიზმი და მგონია, რომ ისინი პასუხის ღირსებიც კი არ არიან. მსგავსი სისაძაგლე და სისასტიკე არ მინახავს, რაც დღეს ვნახე. ფარულ ჩანაწერებს ბოლომდე ვერც ვუყურეთ და ამ ყველაფრის გადმოცემა ემოციით შეუძლებელია, ეს არაადამიანურია. არ ვიცი, როგორ შეიძლება ახსნა, ან გაამართლო მსგავსი საზიზღრობა, რაც ხდებოდა, მით უმეტეს მაშინ, როცა ეს ოფიციალურ სტრუქტურებში ხდებოდა“,** — განაცხადა ბესელიამ.

თავდაცვის კომიტეტის სხდომა, სადაც ფარული ჩანაწერების ჩვენება მოხდა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ პირველივე წუთებში დატოვა.

მისი თქმით, ვიდეოში რომელიმე პირის იდენტიფიცირება შეუძლებელია.

**„ამ კადრების ნახვას საჭიროდ არ ვთვლი. ადვოკატის რანგში, მსხვერპლთა მხრიდან მსგავსი ისტორიები მოსმენილი მაქვს და ამას ვიდეოკადრებში ვნახავ თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს. ეს ყველაფერი ადამიანებმა გადაიტანეს და ჩანაწერების ნახვაზე უარი ვთქვათ, ეს საკუთარი თავის დაცვაა, მაგრამ შეხვედრა მაინც დავტოვე“,** — დასძინა კობახიძემ.

ფარულ ჩანაწერებზე საუბრისას, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ჩიქოვანი ყურადღებას დამნაშავეთა დასჯაზე ამახვილებს, თუმცა, მან კადრების ნახვა არ ისურვა და თავდაცვის კომიტეტის სხდომა კობახიძის მსგავსად დატოვა.

ჩიქოვანის განცხადებით, ის რაც ქვეყანაში ხდებოდა, ამაზრზენი იყო.

**„თითოეული ის ადამიანი, ვინც ამას აკეთებდა, უნდა დაისაჯოს, მაგრამ ამაში არ ვგულისხმობ, მხოლოდ იმ ადამინებს ვინც ამას უშუალოდ აკეთებდა, არამედ მათ, ვისაც ამ საქმესთან იოტისოდენა შეხება მაინც აქვთ. ეს კადრები ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეულია, რადგან ეს ჩემს მშობლიურ კუთხეში - სამეგრელოში ხდებოდა“,** — აცხადებს ჩიქოვანი.

აღსანიშნავია, რომ ვიდეოჩანაწერების გარდა, თავდაცვის კომიტეტის სხდომაზე საუბარი თალიბების სახელით გავრცელებული ვიდეოს თაობაზე მიმდინარე საგამოძიებო პროცესსაც შეეხო.

კობახიძის განცახდებით, საგამოძიებო პროცესში ამერიკის სადაზვერვო სამსახურების წარმომადგენლები არიან ჩართულები და ისინი ამბობენ, რომ დანაშაულის გახსნა მოხდება, თუმცა, კონკრეტული ვადის დასახელება შეუძლებელია.

**შეგახსენებთ, რომ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის გუშინდელი სხდომა, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა დეპუტატებს საგამოძიებო პროცესის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს, უმცირესობის მოთხოვნით ჩაინიშნა, თუმცა, გასულ სასესიო კვირას, ნაციონალებმა საკრებულოს წევრების დაკავება გააპროტესტეს, პოლიტიკური ბოიკოტი გამოაცხადეს და კომიტეტის დღევანდელ სხდომასაც არ დაესწრნენ, რაც კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა ნაციონალების პოლიტიკურ კეკლუცობად შეაფასა.**

თეონა მანაგაძე

◉ ეს ყველას აინტერესებს

# საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა 2013 წლის 1 ივლისიდან ანაზღაურდება

### ამბულატორიული მომსახურება

ოჯახის ან უბნის ექიმის და ექთნის მომსახურება. საჭიროების შემთხვევაში, მათი მომსახურება ბინაზე ექიმ-სპეციალისტების მომსახურება ოჯახის ან უბნის ექიმის დანიშნულებით — 70%-ით, კერძოდ: ენდოკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, გინეკოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, უროლოგი.

### ექიმის დანიშნულებით გამოკვლევები ანაზღაურდება სრულად:

სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, გლუკოზა პერიფერიულ სისხლში, კრეატინინი, ქოლესტერინი სისხლში, შრატში ლიპიდების განსაზღვრა, განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე, პროთრომბინის დრო (INR), **ეკგ ანაზღაურდება 70%-ით:**

ღვიძლის ფუნქციური სინჯები: ALT, AST, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური სინჯი: TSH, მუცლის ღრუს ექოსკოპია; გულმკერდის რენტგენოსკოპია/რენტგენოგრაფია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებისა.

ყველა სახის სამედიცინო ცნობის, დასკვნის და რეცეპტის გაცემა, გარდა სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული, ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შეძენის ნებართვის მისაღებად წარსადგენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებისა.

### გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება

გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება ანაზღაურდება სრულად.

### სტაციონარული მომსახურება

გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება (ლიმიტი ერთეულ შემთხვევაზე 15 000 ლარი)

### ანაზღაურდება სრულად:

ინტენსიური თერაპია და კრიტიკული მდგომარეობების მართვა;

450-ზე მეტი გადაუდებელი მდგომარეობა განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად, როდესაც დაუყოვნებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გარეშე რამდენიმე საათში მოსალოდნელია პაციენტის სიკვდილი, უნარშეზღუდულობა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება.

### ანაზღაურდება 70%-ით:

**ყველა სხვა გადაუდებელი და სასწრაფო მდგომარეობის მართვა**

გეგმური ქირურგიული ოპერაციები (მათ შორის, დღის სტაციონარი) და მათთან დაკავშირებული ყველა გამოკვლევები — წლიური ლიმიტი 15 000 ლარი ანაზღაურდება 70%-ით, ხოლო სრულად ანაზღაურდება 18 წლამდე ასაკის მოსარგებლეებისათვის კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები და მათთან დაკავშირებული გამოკვლევები.

ონკოლოგია სრულწლოვნებში — 80%-ით, სრულად — 18 წლამდე ბავშვებისათვის:

ქიმიოთერაპია

ჰორმონოთერაპია

სხივური თერაპია

**წლიური ლიმიტი 12 000 ლარი,**

### მშობიარობა

ფიზიოლოგიური მშობიარობა — ლიმიტი 500 ლარი; საკეისრო კვეთა — ლიმიტი 800 ლარი.

ანაზღაურდება სრულად.

### საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში არ ანაზღაურდება:

შესაბამისი წლის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების ფარგლებში დაფინანსებული ჯანდაცვითი პროგრამული მომსახურებები;

თერაპიული პროფილის გეგმური ჰოსპიტალური მომსახურება;

სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა, თვითმკურნალობა;

საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

სანატორიულ-კურორტული მკურნალობა;

ესთეტიკური ქირურგია, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობა;

სექსუალური დარღვევების, უშვილობის მკურნალობის ხარჯები;

ვირუსული ჰეპატიტის სპეციფიკურ ანტივირუსულ მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები;

თუ სამედიცინო მომსახურების საჭიროება დადგა თვითდაშავების, ტერორისტულ ან კრიმინალურ აქტებში მონაწილეობის, ან არალეგალურად მოხმარებული ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად, გარდა გადაუდებელი სტაციონარული ან ამბულატორიული მომსახურების შემთხვევებისა;

ორგანოთა ტრანსპლანტაციის, აგრეთვე ეგზოპროთეზირების და ორთოპედიური ენდოპროთეზირების (გარდა ტრავმებისა), ასევე დეფიბრილატორით ან გულის რესინქრონიზაციული თერაპიის აპარატით აღჭურვილი იმპლანტირებადი რითმის ხელოვნური წარმმართველის და წამლით დაფარული სტენტის ხარჯები;

პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია (PET/CT);

თვალის რეფრაქციული ქირურგია, სიელმის ქირურგიული მკურნალობა, თვალის ლაზერული ქირურგია (გარდა დიაბეტური თვალისა), რქოვანის გადანერგვა.

### მომსახურების მისაღებად:

გეგმური ამბულატორიული მომსახურებისთვის მოსარგებლეს შეუძლია დარეგისტრირდეს სურვილისამებრ შერჩეულ მომსახურების მიმწოდებელ ნებისმიერ დაწესებულებაში, ამასთან რეგისტრაციის შეცვლა შესაძლებელია 2 თვეში ერთხელ.

გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მისაღებად არ არსებობს რაიმე შეზღუდვა სამედიცინო დაწესებულების არჩევისას.

გეგმური ქირურგიული და ონკოლოგიური მომსახურების მისაღებად მოსარგებლემ უნდა მიმართოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მატერიალიზებული ვაუჩერის — საგარანტიო წერილის მისაღებად.

◉ ალიან-ჩალიანი

### პრეზიდენტობის კანდიდატი მზადაა თანამდებობა დატოვოს

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი მზად არის, თანამდებობა დატოვოს და განათლების მინისტრის პოსტიდან გადადგეს. ეს განცხადება მარგველაშვილმა გუშინ გააკეთა.**

**— კანონი მაძლევს იმის უფლებას, რომ დავრჩე თანამდებობაზე, მაგრამ ჩვენ სწორედ იმიტომ მოვედით ხელისუფლებაში, იმიტომ გვაქვს პრეტენზია ქვეყნის მართვის, რომ ახალი სტანდარტები და პოლიტიკური კულტურა დავნერგოთ. ბუნებრივია, როგორც კი დავიწყებ საარჩევნო კამპანიას, მე გადავდგები, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამას არ მავალდებულებს, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა, რომელიც გუშინ თეთრიწყაროს რაიონის სოფელ სამღერეთში იმყოფებოდა.**

**განათლების მინისტრის თქმით, სამინისტროში რამდენიმე პროცესია დასამთავრებელი, როგორც კი ეს პროცესები დასრულდება და დაიწყებს საარჩევნო კამპანიას, დაკავებული თანამდებობიდან გადადგება.**

### პაატა ბურჭულაძე 9 ივლისის შემდეგ გააკეთებს განცხადებას

**პაატა ბურჭულაძის საბოლოო გადაწყვეტილება საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე 9 ივლისის შემდეგ გახდება ცნობილი, — ამის შესახებ „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ გუშინ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**მისივე ინფორამციით, 9 ივლისს თბილისში მსოფლიო ბანის საიუბილეო კონცერტი იმართება, რის შემდეგაც მომდევნო დღეებში გახდება ცნობილი, იქნება თუ არა პრეზიდენტობის კანდიდატი ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე პაატა ბურჭულაძე.**

ინტერპრესი

№123. ოთხშაბათი, 3 ივლისი, 2013 წელი.

# კიდევ ერთხელ იმაზე, თუ რა ხდება ჩვენს თავს,

## ანუ მხოლოდ ზნეობაზე დაფუძნებული განათლება გადაგვარჩენს

**„მნიშვნელოვანია სხეულის ჯანმრთელობა, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია სულიერი ჯანმრთელობა, და იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც სული სხეულს აღემატება“**

**წმიდა იოანე ოქროპირი**

*ქვეყანაში ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ჩვენი მენტალობა ვერ გასცდა ერთ, თუნდაც ღირსეულ, პიროვნებაზე, მთელი იმედის დაკავშირების მოლოდინს. მწამს, რომ ჩვენ მოვესწრებით იმ დროს, როცა ხელისუფლებიდან წამოსული პიროვნებები თავისუფლად ივლიან ქუჩაში და შემხვედრები მათ მიმართ არა აგრესიას, არამედ პატივისცემას გამოხატავენ. ამიტომაც ვფიქრობ, რომ პრემიერ-მინისტრის პოზიცია აბსოლუტურად სწორია და „ქართული დენსიაოპინობა“ ძალზე საინტერესო გამოწვევის წინაშე აყენებს საზოგადოებას, რომელიც ნაცვარდოსნების ხელისუფლების მიერ პრაქტიკულად ყველა სფეროში კრიმინალური სისტემური ცვლილებების დაძლევას ღირსეულად გაართმევს თავს.*

უნივერსიტეტების აკადემიურ საბჭოებში ნაციონალებმა თავი მოუყარეს ისეთ ადამიანებს (მე ბოდიშს ვიხდი რამდენიმე ღირსეულ მეცნიერთან, რომელიც ამ გაუგებრობაში მოხვდა), რომლებიც რეჟიმის შეცვლის შემდეგაც კვლავაც წინა ხელისუფლების ნების აღმსრულებლებად რჩებიან. ანუ სამართლიანობის იდეის განხორციელება, რომლითაც კოალიციამ ოქტომბრის არჩევნებში გაიმარჯვა, ყველა დონეზე, თუნდაც უნივერსიტეტებში, ვერ რეალიზდება, რამეთუ წინა ხელისუფლებამ, რომელიც არ მალავდა, რომ ათეულობით წლით აპირებდა ხელისუფლებაში დარჩენას, ეს შენელებული მოქმედების ნაღმები ჯერ კიდევ 2005-2006 წლებში ჩაალაგა. ხედავთ, როგორი წინდახედულები აღმოჩნდნენ ეს პატივცემული გვამები?

**ანუ ისეთი მდგომარეობაა, რომ განათლების სფეროში მხოლოდ კოსმეტიკური სახეცვლა კი არა, სისტემური ცვლილებებია საჭირო.**

მე დიდ პატივს ვცემ განათლების კონცეფციის ავტორებს, უდავოა მათი აკადემიური დონე და საერთაშორისო ავტორიტეტი, ძირეულად ვიზიარებ და მომწონს მათი ხედვები, თუმცა მგონია, რომ რიგი საკითხების გადაწყვეტა უცილობლად რადიკალურ ნაბიჯებს საჭიროებს. ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა როგორც ის, რომ **ჩირქგროვას სათბურებით ვერ გააქრობ და იგი აუცილებლად საჭიროებს გაკვეთას. ასევეა სიმსივნის შემთხვევაშიც. მისი რაღაც ნაწილის მოკვეთა პროცესს კიდევ უფრო ამძაფრებს და სრულებითაც არ გულისხმობს რადიკალიზმს; პირიქითაც კი, — მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.** მიმაჩნია, რომ ნაცების მიერ შექმნილი პრობლემა სიმსივნური მეტასტაზებივითაა გავრცელებული და მხოლოდ პირველადი კერის ამოკვეთა საქმეს ველარ უშველის და ამ გავრცობილი სიმსივნური უჯრედების მოსაშთობად სისტემური ქიმიოთერაპიაა აუცილებელი. ქიომიოთერაპიას კი, თავისი მომყოლი გვერდითი მოქმედებებით, უამრავი დამხმარე ღონისძიებების გატარება დასჭირდება. ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ ამ მოსაზრებების გაცნობის შემდეგ ბევრი ოპონენტი ქირურგიული ჩარევის მომხრეთა რიცხვს მიმაკუთვნებს და ცამდე მართლებიც იქნებიან, რამეთუ გადაუდებელი ჩარევის გადავადება კატასტროფის ტოლფასია.

რა მიზანს ისახავდა ნაცების განათლების რეფორმა? უწინარესად, მისაღები გამოცდების დროს კორუფციის შემცირებას, რაც თითოეული ოჯახის შემოსავლების დაზოგვით ინილბებოდა. სინამდვილეში კი რა მივიღეთ? მივიღეთ ის, რომ სკოლის გავერანების პარალელურად თითოეული მოსწავლე მაღალი აკადემიური მოსწრების მისაღწევად, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, სასკოლო და ეროვნული გამოცდების მაღალი მოთხოვნების დასაძლევად, დადგა აუცილებლობის წინაშე, რომ პრაქტიკულად ყველა საგანში მომზადებულიყო რეპეტიტორებთან. შედეგად კი რეპეტიტორების ის სისტემა, რომელიც თითქოსდა უნდა გამქრალიყო, პრაქტიკულად ფენიქსივით ფერფლიდან აღდგა. ეს კი მოსალოდნელი იყო, რადგანაც სკოლა სრულყოფილ ცოდნას იმ მაღალი კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად, რაც უმაღლეს სასწავლებლებში მოსახვედრად იყო საჭირო, ვერ იძლეოდა. თუკი ადრე, „კორუფციულ წლებში“, ამა თუ იმ ფაკულტეტზე მოწოდებით ჩარიცხულ მოსწავლეთა პროცენტი 60-70 შეადგენდა, დღეს არსებული სისტემის შედეგად შესაძლოა, მაგალითად, ჟურნალისტიკის სპეციალობით ჩარიცხულ აბიტურიენტთაგან მხოლოდ 10-20 პროცენტი იყოს ჭეშმარიტად დაინტერესებული ჟურნალისტიკით. ანალოგიური სიტუაციაა ბევრ გამოყენებით დარგში, თუმცა, კატასტროფულად სავალალოა მდგომარეობა ფუნდამენტური მეცნიერებების — ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის — შესწავლის მსურველთა რაოდენობის მხრივ. ამ „არაპრესტიჟულ“ დარგებში სწავლებას, ახალგაზრდები იურიდიულ და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე სწავლებას ამჯობინებენ. სჭირდება კი ქვეყანას ამდენი იურისტი ან ეკონომისტი? **ვინმემ შეაფასა ან განსაზღვრა უახლოესი და შორეული პერსპექტივის გათვალისწინებით, სად და როგორ იქმნება კადრების დეფიციტი ლოკალური (ვთქვათ, არსებული კადრების დაბერების) ან გლობალური პროცესების განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით?**

თავისუფალ საზოგადოებაში ასე მწვავედ არ დადგებოდა უნივერსიტეტების სამართლებრივი კუთვნილობის საკითხი. აი ჩვენთან კი ეს ძალზე მნიშვნელოვანია. კიდევ ერთხელ ხაზგასმით ავღნიშნავ, რომ ნაცვარდოსნების ხელისუფლებაში დამკვიდრებისთანავე პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე **უნივერსიტეტების კერძო სამართლის იურიდიულ პირად გადაქცევამ ხელისუფლების წიაღიდან გამოსულ ავანტიურისტთა ჯგუფებს საშუალება მისცა, უზარმაზარი სახელმწიფო ქონება დაეტაცებინა.** დღეს ახალი ხელისუფლება ცდილობს, ეს სამართლებრივი სიმახინჯე გამოასწოროს და **დროებითი მმართველობის მეშვეობით ჩაატაროს, როგორც რექტორის, ასევე პროფესორ-მასწავლებელთა დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები.** აი, აქ იკვეთება ერთი „მაგრამ“. საქმე ის გახლავთ, რომ თუ უნივერსიტეტებში ძირეული ცვლილებები არ მოხდა, ანუ **არ შეიცვალა სამართლებრივი გზებით უნივერსიტეტების მმართველობის ორგანოები,** რომელიც ძირითადად წინა რეჟიმის ერთგული პირებითაა დაკომპლექტებული, **არ განხორციელდა ამ დაწესებულებების აუდიტორული შემოწმება, არ გაირკვა უზარმაზარი თანხების ხარჯვის მიზნობრიობა და საჭიროება,** პრობლემები ვერ მოგვარდება, ყველა ნაბიჯი, თითქოსდა სასიკეთო სურვილით გადადგმული, მხოლოდ ფასადურ, ზედაპირულ ცვლილებებს მოიტანს.

სწორედ ამიტომაც, **ახალი მენტორული პროგრამის დანერგვა ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც არსებობს ოქსფორდის, ჰარვარდის, კემბრიჯის, სორბონის უნივერსიტეტები, ნაკლებსარისკოა. ამ ქვეყნებს აქვთ იმის გარანტია, რომ უმაღლესი განათლების კერა შენარჩუნებული იქნება.** ამიტომაც შემოთავაზებული განათლების სისტემის კონცეფცია, რომელიც ჰარნაკის პრინციპზეა დამყარებული, გულისხმობს ტენუარის სისტემის დანერგვას და რომლის მასაზრდოებელიც წარმატებული კლასტერის ინსტიტუტი უნდა იყოს, ნიუ-იორკისა და ლუნდის მაგვარ უნივერსიტეტებში ადვილად განსახორციელებელია, **საქართველოს საგანმათლებლო სივრცეში კი სისტემური გარდაქმნების გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელი და შესანიშნავი იდეები აშკარად წარუმატებლობისთვისაა განწირული.**

დიახაც, **რექტორსა და პროფესორს აკადემიური ხარისხი უნდა ჰქონდეთ.** დიახაც, მათი **საერთაშორისო ცნობადობა** უნდა იყოს დადასტურებულად აღიარებული. დიახაც, **ციტირების ინდექსი** უნდა ჰქონდეთ მაღალი და, რაც მთავარია, პუბლიკაციები უნდა ჰქონდეთ **ავტორიტეტულ საერთაშორისო ე. წ. Peer Review** გამოცემებში. კიდევ უფრო კარგია, თუ ისინი **საერთაშორისო ფორუმებზე** გამოსვლებით ხდებიან ცნობადები. კიდევ უფრო მაღალი ავტორიტეტის დასტური იქნება, თუ მათ **უცხოეთში ლექციების** წასაკითხად იწვევენ. თუ კი **უცხოეთში წარმატებით საქმიანობენ,** სწორედაც ეს უნდა იყოს განმსაზღვრელი. სწორედ ასეთი მეცნიერები მუშაობდნენ კონცეფციის პროექტზე. **მაგრამ აქაც არიან ასეთი დონის მეცნიერები. მათთან ერთად არის საჭირო ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხის განსჯა.**

საერთო-სახალხო განხილვაში **მნიშვნელოვანია სტუდენტობის წილი. მართალია სტუდენტმა არ იცის, როგორ უნდა ისწავლოს, მაგრამ იცის, როგორ არ უნდა ასწავლონ.** ეს ცნობილი სენტენციაა. დიახაც, სტუდენტებთან ერთად ამ განხილვაში მეცნიერები და პედაგოგ-მასწავლებლები უნდა მონაწილეობდნენ. დასაკვალიანებლად მათ ზნეობრივი და პროფესიონალიზმით შემკობილი ადამიანების მაგალითები სჭირდებათ და არა ისეთი დემაგოგები, რომლებიც მუდმივად სიცრუეში ამყოფებენ ახალგაზრდებს. არ შეიძლება გამუდმებით იმაზე საუბარი, რომ „ჩვენმა კურსდამთავრებულებმა (ალბათ საკუთარ შვილებს გულისხმობენ, რომლებიც უცხოეთის პრესტიჟულ სასწავლებლებში სწავლობენ!!!) კონკურენცია უნდა გაუწიონ ბერკლისა და ოქსფორდის კურსდამთავრებულებს“.

ამავდროულად **საქართველოსნაირ ქვეყნებში რეფორმის გატარება ისე, რომ არ მოხდეს პროგრესული საგანმანათლებლო და სამეცნიერო, ეგზომ მწირი, ძალების გაერთიანება, არ ჩაეყაროს საფუძველი ერთი (მაქსიმუმ ორი) მძლავრი უნივერსიტეტის შექმნას, ქვეყანას კატასტროფამდე მიიყვანს.** ამ თემებზე აუცილებელია საერთო სახალხო-მსჯელობისა და დისკუსიის გამართვა, ჩვენს კეთილმოსურნე პარტნიორებთან საუბარი, დიალოგი, კამათი ურთიერთობის ყველა დონეზე. ეს პროცესი უნდა წარიმართოს კარგად გათვლილი, მოზომილი ნაბიჯების და არა წინა ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი ფაციფუცით, შადრევნების, აღლუმების, პირადი სიამოვნების და მით უმეტეს ხელკეტების, ჩარეცხვების, მასობრივი მკვლელობებისა და გაუპატიურებების ფონზე. ახალ ხელისუფლებას ეს ხელეწიფება, თუ მოხდება ნამდვილი მამულიშვილობის, პროფესიონალიზმისა და გამოცდილების კონსოლიდირება.

საზოგადოებისთვის ახალი რყევები უმძიმესი გადასატანი იქნება. ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების თაობამ ამ ზნედაცემული რეფორმატორების ყველა სიკეთე უკვე იწვნია. საზოგადოების უდიდეს ნაწილს წარმოდგენაც არა აქვს, როგორ ირღვევა მათი და მათი შვილების უფლებები ე. წ. ერთიანი ეროვნული გამოცდებისას არამართებული და არასწორი შერჩევის მეთოდების გამოყენების გამო. ფსიქომეტრიკის არმცოდნეთათვის ეს პროცესი აბსოლუტურად გაუგებარია, სპეციალისტებისათვის კი ნათელია, რომ ამ შემთხვევაში, ერთმნიშვნელოვნად, უმეცრებასთან და უზნეობასთან გვაქვს საქმე. მეტსაც გეტყვით, რომ წინა ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების აბსოლუტური უმრავლესობა მინიმალური კომპეტენტურობის ზღვარსაც კი ვერ გადალახავს ამ ტესტების შევსებისას.

რაც შეეხება კვლევების ხასიათს და მათი დაფინანსების წყაროებს, უფრო მეტი ალბათობა ე. წ. გამოყენებით კვლევებს აქვს, თუმცა, ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ ფუნდამენტური კვლევების დაფინანსება შედარებით უნდა შეიზღუდოს. უფრო — პირიქით. სწორედაც ამგვარი კვლევები ქმნიან იმ ბაზისს, რომელსაც შემდგომში გამოყენებითი კვლევები ეფუძნება. ამიტომაც ამგვარი კვლევების დაფინანსების შეზღუდვა არ უნდა მოხდეს.

ვფიქრობ, რომ **ნებისმიერ კონკურსში მონაწილეობისას განმსაზღვრელი პედაგოგის პროფესიონალიზმი და ზნეობა უნდა იყოს. ამისათვის საჭიროების შემთხვევაში, ფსიქომეტრული ტესტირებაც უნდა ჩატარდეს.** ვინძლო ამის ჭეშმარიტი სპეციალისტები საქართველოში ჯერ კიდევ არიან. ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, რაგინდ დიდი დონის სპეციალისტი არ უნდა იყოს, თუ კი იგი ზნეკეთილი და მაღალი სულიერების მქონე არ იქნა, ვერანაირად ვერ გამოდგება მომავალი თაობის აღმზრდელად.

**ამრიგად, სისტემური რეფორმირება აუცილებლად გულისხმობს ავტონომიურობას, აკადემიურ თავისუფლებას, მეცნიერული კვლევისათვის აუცილებელი პირობების შექმნას და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მყარ და გამორჩეულ ფინანსურ უზრუნველყოფას.** ამიტომ საბიუჯეტო დაფინანსების არსებობის გარდა, ალტერნატიული დაფინანსების არსებობა დიახაც საშური საქმეა. მაგრამ, ვფიქრობ, კონცეფციის პროექტის ავტორებს, რომლებიც მრავალი ათეული წელია საზღვარგარეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში მოღვაწეობენ, რბილად რომ ვთქვა, ძალზე ზერელე წარმოდგენა აქვთ ქართველ ბიზნესმენებზე, ყოველ შემთხვევაში მათ უმრავლესობაზე. ამიტომაც ძნელია დღეს საქმეში თანხის ჩამდები და „გუშინწინ მოგებაზე ორიენტირებული“ ასეთი ბიზნესმენების იმედად ყოფნა. აქ სხვა ფორმებია მოსაფიქრებელი, თუნდაც ისეთი შემოწირულობების გაკეთება, რაც საგადასახადო შეღავათებს გულისხმობს.

**აუცილებელია აღდგეს ატესტაციის და სერტიფიცირების პროცესი, უწყვეტი პროფესიული განვითარება-დახელოვნების სისტემა,** რაც ყავლგასულ პრეზიდენტში კორუფციის შიშს ბადებს, ამ დროს მისმა ჯანდაცვის მინისტრმა საჯარო გამოსვლისას ამ უწყვეტი სისტემის გაუქმება იმით ახსნა,რომ **„ქართველ ექიმებს** (იგულისხმეთ — მასწავლებლებს, ინჟინრებს და ა. შ.) **წიგნის კითხვა არ სჭირდებათო!!!“** აი, ასეთი მენტალობის ადამიანები გვმოძღვრავდნენ 9 წელი!

სწორედაც ამ მენტალობის ადამიანების მიერ ხელისუფლების უზურპაციამ გახადა შესაძლებელი **დიდი ნაციონალური გადატრიალების** განხორციელება, რის შედეგადაც ნასწავლიცა და უსწავლელიც, ინჟინერიცა და მეეზოვეც, თუ კი ის ნაცისტური სულით იყო გაჟღენთილი ფინანსურად გამართულიყო, ხოლო დარჩენილი უმრავლესობა, რომელიც შინაარსით ბნელ, მაგრამ **„შუქურით“ გაბრწყინებულ იდეოლოგიას** არ იზიარებდა, სამათხოვროდ და საშიმშილოდ განწირულიყო.

სწორედ ამის ეშინიათ ამ „აღზევებულ მდაბიოებს“, ამ გრანტიჭამიებს, მათ პატრონებს და გუნდრუკისმკმევლებს, აქ თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

**ქვეყანას მხოლოდ ერთი გზა აქვს გადარჩენის და განვითარების, თუ კი იგი ამ უზნეობის, სიცრუისა და ზნედაცემულობის ჭაობიდან ამოსვლას შეძლებს.** ეს ყოველი ჩვენგანის ვალია, ვისთვისაც ქვეყნის სიყვარული, მისი მომავალი გაცილებით უფრო ფასეულია, ვიდრე საზღვარგარეთ განცხრომით ყოფა-ცხოვრება.

ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ამ უზნეო და უთვისტომო „რეფორმატორებმა“ ქვეყნის კეთილდღეობის ხარჯზე უკვე გვარიანად მოითბეს ხელი. ამ უგულო და უტვინო ხალხს არ ენაღვლება, ან არ სურს, რომ **უსამშობლოდ** დარჩენილი მომავალი თაობა გადარჩეს, რაც არ უნდა უზრუნველყოფილი იყოს მატერიალურად მისი ცალკეული წევრი.

ყავლგასული პრეზიდენტი კვლავ ცრუობს და ფარისევლობს, როცა ვითომცდა „წუხს და გვიცავს“ ახალი ხელისუფლების ნაბიჯებისგან, რაც განათლების სფეროში განსახორციელებელ საშურ ცვლილებებს გულისხმობს. საზოგადოებაში მასწავლებლის, პედაგოგის, განსაკუთრებული მისია აბსოლუტურად ზუსტად განსაზღვრა წმიდა იოანე ოქროპირმა: **„არ არსებობს აღზრდაზე უმაღლესი ხელოვნება. მხატვარი და მოქანდაკე მხოლოდ უსიცოცხლო ქანდაკებას ქმნიან, ბრძენი აღმზრდელი კი ქმნის ცოცხალ სახეს, რომლის ცქერაც ღმერთსაც უხარია და ადამიანსაც“**.

ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებული უმუშევრობის დაძლევის, სოფლის მეურნეობის აღდგენისა და ჯანდაცვის რეფორმირების პროგრამები გვერდზე დაგვრჩება, თუ, უწინარესად, ერის განათლების ძირეული, სისტემური, ცვლილებები არ განხორციელდა სამართლიანად, თუ მთავარი აქცენტი ამ მართლაც საშურ და გადაუდებელ საქმეში, მოძღვრის, მასწავლებლის, პედაგოგის პროფესიის პრესტიჟის ამაღლებაზე არ გაკეთდა, თუ საშუალო სკოლას ავტორიტეტი არ დაუბრუნდა, თუ უნივერსიტეტები „კმარასა“ და „თავისუფლების ინსტიტუტის“ უმაუზერო, მაგრამ უზნეო ფსევდოპროფესურისგან არ გათავისუფლდა, თუ ახალგაზრდობის საფუძვლიან (არა ნახევარფაბრიკატულს) განათლებას არ მიექცა ყურადღება.

მხოლოდ ეს გადაარჩენს ჩვენ ქვეყანას.

**გიორგი ბოჭორიშვილი,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

დასასრული. დასაწყისი იხ. № 122

ამის დაშვება წარმოუდგენელია!



ღია წერილი
საქართველოს
პრემიერ-მინისტრს,
ბატონ
ბიძინა
ივანიშვილს

# მაია წყნეთელის მოლანდება, ანუ როგორ ავიშოროთ სირცხვილი?

**ბატონო ბიძინა,**

**მეუბნებიან, რომ ღია წერილებს ა(ღა)რ კითხულობთ. მაინც გწერთ — ხომ შეიძლება, შემთხვევით ჩაგივარდეთ ხელში.**

თანდათან ვრწმუნდები, რომ ერეკლე მეფესავით, მაია წყნეთელი გჭირდებათ, თქვენს „დიდებულებზე“ და, საერთოდ, საზოგადოების განწყობაზე, ხანდახან მაინც რომ გითხრათ სიმართლე. სამწუხაროდ, ამ როლისთვის არც კოკა ყანდიაშვილი გამოგადგებათ და არც მისი ყოფილი მეუღლე. სხვა უნდა მოძებნოთ.

თქვენ ჯვარი გწერიათ, მაგრამ ცნობილია, რომ ხელისუფალთა უმეტესობას საკუთარი გარემოცვა ღუპავს. ამის მიზეზი კი მისი (გარემოცვის!) შერჩევის არასწორი კრიტერიუმი მგონია: არ შეიძლება, ხელისუფალს ერთგული ეგონოს მხოლოდ ის, ვინც მის წინამორბედს ქვას (გნებავთ, პომიდორს) ესროდა: თუ დასჭირდება, მასაც ადვილად ესვრის. ერთგულება არ იყიდება. ერთგულება ან შეგიძლია, ან — არა. ვინც შევარდნაძეს უღალატა, მან სააკაშვილიც ადვილად გაყიდა. ასეთია მედროვისა და მოღალატის ბუნება. ასეთია ხელისუფალთა ბედი.

საერთოდ, გარემოცვის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზულია. არ მიკვირს, როცა თქვენი გუნდის წევრებზე უკვე არცთუ იშვიათად მესმის და ვკითხულობ, ოფიციალურ შეხვედრებზე სხვა რამეს ლაპარაკობენ, კულისებში კი — სულ სხვასო.

ქვეყანა სავსეა მედროვეებით, რომელთაც საკუთარი მდგომარეობა აინტერესებთ და არა სამშობლოს ბედი.

სამშობლო ეს სიტყვა თავისთავად „მოვიდა.“ როგორ გავუუცხოვდით ამ წმიდათაწმიდა ცნებას. სამშობლოს კი არა, სიტყვა „ქვეყანასაც“ გავუუცხოვდით. ორიოდე წლის წინათ ბატონმა თემურ ქორიძემ მიმართა ქართველ პოლიტიკოსებს — სირცხვილია, ასე რომ ამბობთ, „ამ ქვეყანაში“, უნდა თქვათ, „ჩვენს ქვეყანაში“- ო. ყური არავინ ათხოვა. სამშობლო მით უმეტეს არავის ახსოვს.

კარგია, მოსმენები რომ აკრძალეთ, მაგრამ ვინატრებდი ისეთ ტექნიკას, თქვენი მომხრეების, ანუ ქვეყნის გულშემატკივართა აზრებს რომ მოგასმენინებდათ. არა მგონია, ეს მისია ბატონმა გივი ბერიკაშვილმა იკისროს და ყოველთვის ზუსტად გითხრათ, „რას ფიქრობს ხალხი წყაროზე.“

ოცი წლის წინათ ვერ წარმოვიდგენდით, თუ ნანატრ თავისუფლებას ვეღირსებოდით და დამოუკიდებელი საქართველოს განათლების მინისტრად შაშკინი მოგვევლინებოდა!

ორი წლის წინათ ვერ წარმოვიდგენდით, რომ სააკაშვილის რეჟიმისგან გავთავისუფლდებოდით (ამას მადლიერი ქართველობა არასოდეს დაგივიწყებთ) და განათლების მინისტრის მოადგილისგან კვლავ ამგვარ აზრს მოვისმენდით: „ჩვენ ორი სახადი გვაქვს მოსახდელი — ქართული ეკლესია და ეროვნული მოძრაობა.“

რამდენი წელი უნდა გავიდეს, ეს სიტყვები რომ დაგვავიწყდეს: ..ილია ჭავჭავაძე? — ასეთ მწერალს არ ვიცნობ. მაინცდამაინც არც აკაკი წერეთელი მომწონს.“

ვერც იმას წარმოვიდგენდით, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლიდან ცხრა თვის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცვლელი სურათი იქნებოდა. სამწუხაროდ, ამას მხოლოდ „ნაციონალებს“(როგორ წაბილწეს ეს წმინდა ცნება!) ვერ დავაბრალებთ. აქ თვალსაჩინოა თქვენი თანაგუნდელების წვლილიც: უსამართლო კონკურსში დამარცხებულები, როგორც კი მინისტრები გახდნენ, სასწრაფოდ, პროფესორებად აირჩიეს და ეს წყალობა ისე მიიღეს, სხვა დაჩაგრულები არც გახსენებიათ. კმაყოფილებმა უნივერსიტეტში ხუბუას დაბრუნებასაც უყოყმანოდ დაუჭირეს მხარი. სწორედ ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ გადამდგარი კვიტაშვილი კვლავ „ღამის შოუებში“ ლაღობს და დაგვცინის, რადგან დარწმუნებულია, რომ ახალ რექტორსაც ძველი აკადემიური საბჭო აირჩევს. ხოლო როგორ აირჩევს და როგორს აირჩევს, ეს ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს.

ამისი დაშვება წარმოუდგენელია.

პრობლემა აკადემიური საბჭოა და არა კვიტაშვილი. კვიტაშვილი ხვალ რომ ციხის უფროსად დანიშნოთ, იქაც სიამოვნებით წავა. პრობლემაა აკადემიური საბჭო, რომელიც ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციას ურცხვად ახდენდა.

თუ არჩევნებს კვლავ ამჟამინდელი საბჭო ჩაატარებს, ეს ახალი ხელისუფლების დიდი სირცხვილი იქნება და, რაც მთავარია, ამ სირცხვილში თქვენს თანაგუნდელებსაც ექნებათ წვლილი შეტანილი.

როგორ უნდა ავირიდოთ ეს სირცხვილი? - ამაზე, დაე, სწორედ იმ თქვენმა თანაგუნდელებმა იფიქრონ, ვისაც ზემოთქმული ეხება...

პატივისცემით,

**იოსებ ჭუმბურიძე**

**P. S. ბატონო ბიძინა, ეს ღია წერილია, „დახურული“ კი, ანუ ჩემი განცხადება, თვენახევარია, თქვენს მაგიდაზე დევს. ის გაზეთ „თბილისის“ აღდგენის პრობლემას ეხება და მოუთმენლად ველოდები თქვენს განაჩენს. სამართლიანობის აღდგენის პროცესი ამ საკითხსაც უნდა შეეხოს და დედაქალაქს თავისი გაზეთი უნდა დაუბრუნდეს.**

**ი. ჭ.**

„ჩვენ“ და „ისინი“

# ისევე უნდა გავასამართლოთ, როგორც ფაშისტები გაასამართლეს ნიურნბერგში

(მესამე გვერდიდან)

(მესამე გვერდიდან)

აქედან გამომდინარე მივმართავ ნათია კობერიძეს, ავად სახსენებელი „მოდელირებული ქრონიკის“ ერთ-ერთ მთავარ აქტიორს — დიახ, სწორედ 9-წლიანი „მოღვაწეობის“ გამო არ ჰქონდა მოცემულ კონტექსტში დავით პაიჭაძეს ირაკლი ღარიბაშვილისთვის კითხვის დასმის მორალური უფლება და არც თქვენ გაქვთ ზედმეტი ტლიკინის უფლება ქალბატონო ნათია, რადგანაც ჯერ კიდევ საკითხავია, რა უფრო დანაშაულია, თავად დანაშაული თუ ამ დანაშაულზე დუმილი თქვენნაირი მედიამეძავების მხრიდან!?

არ შემიძლია, განსაკუთრებულად არ შევჩერდე, სულ ახლახანს სახალხო დამცველების ერთ-ერთ მთავარ კანდიდატ თამარ გურჩიანზე...

რამდენიმე ეთერს ვუყურე მისი მონაწილეობით და ყველგან, თითქმის თავიდან იმ საშინელი კადრებით იწყებდა და ბოლოს, როგორც წესი, ოსტატურად მიადგებოდა ხოლმე 17 მაისის გეი-აღლუმის „დარბევას“. რომლის მოკლე რეზიუმე ასე ჟღერს: თუ ამ ხელისუფლებამ (ბიძინა ივანიშვილმა) არ დასაჯა „მოძალადეები“, მათ შორის სასულიერო პირები, ეს ხელისუფლებაც ბოლოს იმასვე გააკეთებს, რასაც სადისტი ნაცები სჩადიოდნენ!

აი, ასე, არც მეტი, არც ნაკლები, რა უნდა სთქვა ამ აბსურდზე? მხოლოდ ის, რომ სხვაგან ჰქრის ამ დედაკაცის გონება. ანუ, მისი და მისნაირების (ზემოთ ნახსენები ორგანიზაციებისაც) მთავარი ამოცანაა, რომ დასავლეთელ გრანტის მომცემებს უპატაკონ — თქვენი ფულები სწორი მიმართულებით ავითვისეთ, გეი-პარადის მოწინააღმდეგენი დავსაჯეთ, კიდევ გაგვიკეთეთ ფინანსური ოყნები და გპირდებით, მალე საქართველოში ერთსქესიან ქორწინებასაც დავაკანონებთ და გიპატაკებთ — თბილისის თავზე ლგბტ ცისარტყელას დროშა ფრიალებსო!

> **9-წლიან კოშმარს თუ გავუძელით, როგორმე მაგ კადრებსაც გავუძლებთ! თქვენი ლოგიკით გამოდის, რომ არც 18 სექტემბერს უნდა გაეშვათ ციხის ცოცხების კადრები, რამაც პრაქტიკულად განაპირობა კიდეც 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგი!**

ამისთვის კი, მეხუთე კოლონამ და კონკრეტულად თამარ გურჩიანმა სწორი დრო შეარჩიეს — ერთის მხრივ აშკარაა ამერიკის უპეცედენტო ზეწოლა ბიძინა ივანიშვილზე და მეორეს მხრივ გურჩიანის მსგავსი ხლისტები აწვებიან იგივე ბიძინას ნეოლიბერალური „ჰუმანიზმით“...

მაშინ, როდესაც გურჩიანის კოლეგები შსს-ში აპროტესტებდნენ სადისტური კადრების ჩვენებას, არშემდგარი სახალხო დამცველი (აუუ, რა გადარჩენილები ვართ? თუმცა, არც მოქმედის ხელში ვართ დალხინებულები — ამბობენ, ბაპტისტიაო...) „რედისონთან“ბესელიას ადამიანის უფლებების კომიტეტის დასკვნის პროექტს აპროტესტებდა!

შეკრებილთაგან ერთმმა, „ტაბურეტკიანმა“ — კანონპროექტში მორალზე, პროპაგანდაზეა საუბარი და ასეთ რამეებს კონსტიტუცია არ იცნობსო!

აბა ამისთანა რამე გაგონილა? ადამიანმა, მას შემდეგ, რაც ხიდან მიწაზე ჩამოვიდა, მორალით, ეთიკით, ზნეობით დაიწყო ცხოვრება. ანუ, რაღაცაზე ითქვა, რომ შეიძლება, რაღაცაზე პირიქით და სწორედ ამ კატეგორიებზე დაყრდნობით შეიქმნა საზოგადოებაში ქცევის ელემენტარული ნორმები და შემდეგ უკვე კონსტიტუციები, სისხლის სამართალი და ა.შ.

ის პირველი „რაღაცა“, რაც არ შეიძლება, სწორედ ის არის, რომ ქალი ქალია და მამაკაცი მამაკაცი, საკუთარ ხატად შექმნილი უზენაესის მიერ და ამიტომ ყველა ფუნდამენტური რელიგია გმობს სოდომის ცოდვას და ახლა, რა გინდათ თქვე შობელძაღლებო, ერთადერთ ნეტარებად სოდომისადმი ტოლერანტობა მივიჩნიოთ?

არ გამოვა ეგ. ყოველ შემთხვევაში იმედი მაქვს, რომ საქართველოში არ გამოვა!

თუმცა, რა იცი? ისეთი კმაყოფილი გამობრძანდა თამარ გურჩიანი ეკა ბესელიასგან, რომ, როგორც იმერეთში იტყვიან, დოლქეშა სახე მთვარესავით გაბადროდა — ყველა რუსული მიდგომა, მათ შორის ტერმინი „ერთსქესიანი ქორწინებები“, ამოღებულია კანონიდან, რადგან ეს დღეს არ არის სენსიტიურად აქტუალური და გადავრჩით ევროპაში თავსლაფდასხმასო. ჰოდა, არ გაინტერესებთ მკითხველო, რა არის დანარჩენი რუსული მიდგომა?

რა და, რაც წინა წერილში ავღნიშნე და რასაც ახლა შურიანი სიამოვნებით გავიმეორებ — დუმის დადგენილებით რუსეთში 2112 (!!!) წლამდე, 100 წლით აიკრძალა გეიპროპაგანდა და მისი უმთავრესი შემადგენელი, გეიაღლუმები! ასევე, სულ ახლახანს დუმის დადგენილებით აიკრძალა მავან ქვეყნებში არა მხოლოდ ერთსქესიან „ოჯახებში“ რუსი ბავშვების (ყოველწლიურად რუსეთიდან ასობით ბავშვი გაჰყავთ გასაშვილებლად) შვილად აყვანა, არამედ ისეთ ქვეყნებში, სადაც ერთსქესიანი ქორწინებები დაკანონებულია, მარტოხელა კაცის ან ქალისთვისაც შეუძლებელი იქნება რუსი ბავშვების შვილად აყვანა — ჩვენ (რუსებს) გვირჩევნია, რომ „პრიუტებში“, ანუ, ხელმოკლეობაში „მუჟიკებად“ გაიზარდონ რუსი ბავშვები, ვიდრე დასავლეთის კომფორტში პედერასტებად ჩამოყალიბდნენო — აი, შინაარსობრივად ასე გაამაგრა რუსეთის დუმამ საკუთარი „გოიმური“ დადგენილება!

კიდევ ერთხელ, ბრავო რუსებო! შეგნატრით!

დაბოლოს ისევ მთავარზე — ზემოთ ხსენებული „კინოჩვენების“ მოწინააღმდეგეთა მთავარი არგუმენტი ის გახლდათ, რომ დაცული უნდა იყოს დაზარალებულთა უფლებები, მათ ოჯახებს მორალური ტრამვა ავაცილოთ, დაუშვებელია ამ კადრების ფართო საზოგადოებისთვის ჩვენება, რადგანაც ეს დათრგუნავს მოსახლეობას და ა.შ. „ჰუმანიზმით“ შეჯერებული „არგუმენტებია“, რომელთა ავტორები, როგორც წესი, ის პიროვნებები არიან, რომლებსაც არანაირი დისკომფორტი არ ჰქონიათ სააკაშვილის მმართველობისას. პირიქით, სწორედ მაშინ ჰქონდათ მაქსიმალური კომფორტი, მაღალან აზღაურებადი სამსახურები იქნებოდა თუ მუქთი „პაეზდკები“ მსოფლიოს გარშემო!

ასე რომ, ჩვენო კეთილო ფერია-რაინდებო, მოეშვით ჩვენზე ფარისევლურ ზრუნვას. თქვენგან განსხვავებით, ჩვენ ის ხალხი ვართ, რომლებსაც პირდაპირ, ან ირიბად შეგვეხო ამ დამპალი ნაცების ყველა „სიკეთეები“; ჩვენ, თქვენსავით დითირამბებს კი არ ვუგალობდით ამ ჯალათებს, არამედ 9 წელიწადი ვიბრძოდით რეჟიმის წინააღმდეგ. რეჟიმისა, რომლის გადარჩენა-რეანიმაციას დღესაც ცდილობთ!

ამიტომ გვაცალეთ, თავად გადავწყვიტოთ, რა ვნახოთ და რა არა. 9-წლიან კოშმარს თუ გავუძელით, როგორმე მაგ კადრებსაც გავუძლებთ! თქვენი ლოგიკით გამოდის, რომ არც 18 სექტემბერს უნდა გაეშვათ ციხის ცოცხების კადრები, რამაც პრაქტიკულად განაპირობა კიდეც 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგი!

გავრცელდა ინფორმაცია, რომ 26 მაისის ამსახველი სისხლიანი ფირები და ის შოკის მომგვრელი სადისტური კადრები, პარლამენტის დედოფალ თინა ხიდაშელს წაუღია ევროპაში საჩვენებლად.

ჰოდა, ეგ ფირები მარტო ევროპარლამენტში კი არა, აშშ-ის კონგრესშიც უნდა აჩვენონ, თეთრ სახლშიც (იმ თხისწვერა ჯონ ბასს სპეც ჩვენება უნდა მოვუწყოთ) ემანდ წამების მსვერპლნი წირვაზე არ იცნონ!

ასე, რომ, არ აჩვენოთ, მსხვერპლები ცოდოები არიანო, ამ ამბავში ვერ გამოდგება. მერე გაგვცენ პასუხი, მაკკეინმა, ლუგარმა, სახალხო პარტიამ და ზოგადად დემოკრატიის ციტადელმა ამერიკამ თუ ევროპამ, რატომ უჭერენ მხარს ნაცებს. გაპრავების მასტერკლასები ჩაგვიტარონ — დაგვჭირდება, რადგან ამ ბოლო დროს ნაცებს ნამეტანი უჭირთ უმაგათოდ „გაპრავების“ ამბავში.

მივმართავ ხელისუფლებას — დასავლეთიდან ვენეციის დასკვნებს თუ სხვა ნებართვებს ნუ დაელოდებით და რაღაც ნაწილი მაინც გვაჩვენეთ იმ ვიდეოებისა, რათა დიახაც კიდევ ერთხელ მაგრად გავბრაზდეთ, რათა არ დავუშვათ არანაირი კოჰაბიტაცია სადისტ მკვლელებთან და ნაციონალური მოძრაობაც ისე გავასამართლოთ, როგორც ფაშისტები გაასამართლეს ნიურნბერგში...

**დავით მხეიძე**

### რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილს არჩევნების თარიღი შეეშალა

**ორშაბათს, 1 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანმა მანანა მანჯგალაძემ გვაცნობა, რომ სახელმწიფოს ახალი ხელმძღვანელის არჩევნები დანიშნულია 27 ოქტომბრისთვის. მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ სააკაშვილის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ანდრო ბარნოვმა მოიწვია სასწრაფო ბრიფინგი, რომელზეც განაცხადა, რომ ყველაფერი 4 დღის დაგვიანებით გაიმართება – ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს. მან განმარტა, რომ მოხდა ტექნიკური შეცდომა, მაგრამ ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ სააკაშვილს უბრალოდ სურს, ცოტა უფრო დიდხანს დარჩეს თავის პოსტზე.**

ამ ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ არჩევნების ახალი თარიღი – უკანასკნელია შესაძლებელთაგან: კონსტიტუციის თანახმად, კენჭისყრა უნდა გაიმართოს ოქტომბერში.

**– მე პირადად კარგად ვიცნობ სააკაშვილს, გადაწყვეტილება – გადაიდოს არჩევნები – სავსებით შეესაბამება მის სტილს. პანიკის ელემენტი იმდენად დიდია, რომ დაგაბნევს, ამ გადატანას არ აქვს რაციონალური ახსნა, – თქვა ჩვენს გაზეთთან საუბარში საქართველოს მართვის სტრატეგიის ინსტიტუტის ხელმძღანელმა პეტრე მამრაძემ, რომელიც 13 წლის განმავლობაში ყოფილი და ამჟამინდელი პრეზიდენტების დროს სათავეში ედგა სახელმწიფოს მეთაურის კანცელარიასა და მთავრობის აპარატს.**

**– სააკაშვილისთვის მნიშვნელოვანია ერთი საათიც კი, რომ თავი უძლურად იგრძნოს. აქ კი მის განკარგულებაში მთელი 4 დღე და სუსტი მითითებაა მეორე ტურზე. ის გრძნობს, რომ მის თავზე ღრუბლები იკვრებიან. არ შემიძლია გამოვრიცხო, რომ სააკაშვილი სამშობლოშიც კი არ დაბრუნდება უცხოეთში რომელიღაც მგზავრობიდან,** – აღნიშნა ექსპერტმა.

**მხოლოდ დღის მეორე ნახევარში შეძლეს ქართველებმა, გაეგოთ, როდის უყრიან კენჭს ახალ პრეზიდენტს**

არ არიან გაოცებული ამგვარი ქცევით პრეზიდენტის პოლიტიკური ოპონენტებიც. პარლამენტის ექსთავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, რომელიც კენჭს იყრის სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე, ჩვენს გაზეთს უთხრა, რომ არჩევნების 4 დღით გადაწევა მისთვის მოულოდნელობა არ ყოფილა.

**– სააკაშვილი უკანასკნელ საათებამდე და წუთებამდეც კი ჩაეჭიდება ხელისუფლებას. უმთარესად იმიტომ, რომ პანიკაშია, ეშინია, რომ ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას იმუნიტეტის დაკარგვის შემდეგ,** – დარწმუნებულია ქალბატონი ნინო.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც, ალბათ, ასევე დასახელებული იქნება პრეზიდენტობის კანდიდატად, მიიჩნევს, რომ არჩევნების დანიშვნა ხუთშაბათისთვის მიზნად ისახავს, ჩამოაშოროს არჩევნებს ქართველები, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ. მან განმარტა, რომ ქვეყნის შიგნით ეს დღე ცხადდება უქმედ, მაგრამ საზღვარგარეთ ამას არავინ არ გააკეთებს.

**სხვათა შორის, მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებაში" არჩევნების გადატანას შეხვდნენ მშვიდად და მიაჩნიათ, რომ არჩევნებს მოიგებენ პირველსავე ტურში იმისდა მიუხედავად, რა დღეს იქნება იგი დანიშნული. პრეზიდენტის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში" კი ერთგვარი დაბნეულობა სუფევს. რამდენიმე დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან", ანონიმურობის პრინციპით, აღიარა ჩვენს გაზეთთან საუბარში, რომ თავადაც არ ესმით, თუ რა მოხდა, რატომ გადაიტანეს არჩევნები. თუმცა, ერთ-ერთი პარლამენტარი შოთა მალაშხია მიიჩნევს, რომ სააკაშვილი უბრალოდ ყველა პრეტენდენტს აძლევს შესაძლებლობას მაქსიმალურად გამოიყენონ წინასაარჩევნო კამპანია.**

**საქართველოს დამოუკიდებელი ექსპერტების კლუბის წევრი რამაზ საყვარელიძე, თავის მხრივ, გამოთქვამს აზრს, რომ ამჟამინდელ პრეზიდენტს უბრალოდ იმედი აქვს მეორე ტურისა, რაც 2 კვირის შემდეგ ეწყობა იმ შემთხვევაში, თუ პირველში ვერავინ მოაგროვებს ხმების 50 პროცენტზე მეტს. საქმე ისაა, რომ სახელმწიფოს მეთაური თანამდებობაზე მოდის არჩევნებიდან 3 კვირის შემდეგ. ესე იგი მეორე ტურის შემთხვევაში სააკაშვილი ასწრებს პრეზიდენტის რანგში დაესწროს ევროკავშირის 28-29 ნოემბრის ვილნიუსის სამიტს. ანალიტიკოსის სიტყვებით, ეს იქნება სახელმწიფოს მოქმედი მეთაურისთვის უკანასკნელი შესაძლებლობა გამოიყენოს მაღალი ტრიბუნა „ქართული ოცნების" წინააღმდეგ.**

### გაძვირება

**ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები. ნაცმოძრაობა ყოველმხრივ ცდილობს თავისსავე მიღებული კანონებისა და აქტების უგულებელყოფით, ისეთი ახალი წესები შემოიღოს, რომლებიც აუცილებლად გამოიწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას და აუცილებლად უარყოფით გავლენას იქონიებენ ივანიშვილისა და „ქართული ოცნების" იმიჯზე.**

## პრევენციული ჩხვლეტები იარების წარმოსაქმნელად

რამდენიმე დღის წინათ №45 სამარშრუტო ტაქსში ასულ მგზავრებს მანქანაში გაკრული განცხადება დახვდათ, რომელიც იუწყებოდა, რომ მგზავრობა ამ სვლაგეზით 30 თეთრის ნაცვლად პირველ ივლისიდან 40 თეთრი გახდებოდა. მგზავრები გაკვირვებულები დარჩნენ იმის გამო, თუ რა უნდა გამხდარიყო „ახმეტელის" მეტროდან მუხიანის 1, 2, 3 მიკრორაიონებში მოძრავ ტრანსპორტზე მგზავრობის ტარიფის მოულოდნელი გაზრდის მიზეზი.

თითქოს ბენზინი არ გაძვირებულა, პირიქით გაიაფდა კიდეც. ამ პირობებში მოკლე მარშრუტის მქონე მიკროავტობუსით მგზავრობის გაძვირება ვერ აუხსნია მუხიანში მცხოვრებ **დათო ანდღულაძეს. თითქოს 10 თეთრი ერთი შეხედვით არაფერია, მაგრამ როდესაც წელებზე ფეხს იდგამ და ოჯახის სარჩენ ფულს ძლივს შოულობ, დღეში მინიმუმ 20 თეთრის გასავალის დამატებით თვეში რამდენი გამოდის, თან ოჯახი ერთი სულისაგან ხომ არ შედგება. ეს მცირეშემოსავლიანთ მძიმედ დაარტყამს. იძულებულნი გავხდებით დაღლილ-დაქანცულნი, მთელი დღე ფეხზე მდგომნი, მეტროდან სახლისკენ ფეხით გავუყვეთ გზას. ბავშვებსაც იგივე მოუწევთ. ჯერ ზაფხულია, დღე დიდია და ამინდებიც კარგია, მაგრამ რა გვეშველება შემოდგომის ბოლოს და ზამთარში. ეს არის მერიის ხალხზე ზრუნვა და ლამის დედის დაფიცება სამარშრუტო ტაქსებზე ტარიფი არ აიწევსო? – უკმაყოფილებას ვერ მალავს ჩვენი რესპონდენტი.**

„თბილისის მიკროავტობუსში", რომელიც უგულავას ხელდასხმული სტრუქტურაა, აცხადებენ, რომ №45 სამარშრუტო ტაქსზე მგზავრობის ღირებულების გაძვირება მძღოლთა მოთხოვნის საფუძველზე მოხდა. და იქვე განმარტავენ, რადგანაც ამ სვლაგეზით ცოტა მგზავრი სარგებლობს, მძღოლების თხოვნა გავითვალისწინეთო.

„თბილისის მიკროავტობუსის" განმარტებებს სიცრუეს უწოდებს მუხიანის მე-2 მიკრორაიონის მაცხოვრებელი გია თოფურია. **როგორ თუ მგზავრები არა ჰყავთ. უნდა ნახოთ, რა გადაჭედილები დადიან დილის საათებში და განსაკუთრებით – საღამოს. მძღოლებს სულის მოთქმის საშუალება არა აქვთ ისეთი ინტენსიურობით მოძრაობენ. ზაფხულში, სასკოლო არდადეგების დადგომასთან ერთად, მგზავრთა ნაკადმა მართლაც იკლო, მაგრამ ხომ დადგება შემოდგომა, მას ცივი ზამთარიც მოჰყვება და ამ სეზონურ ჩავარდნას მოკლე ხანში აინაზღაურებენ,** ამბობს ჩვენთან მოსაუბრე და სინანულით დასძენს, – **აქაურებმა მივქარეთ, როდესაც გაფიცულ მიკროავტობუსების მძღოლებს მერიის წინ გვერდში დავუდექით. გულმა რეჩხი მაშინ მიყო, როდესაც მძღოლთა წარმომადგენლები მერიის ხელმძღვანელობას შეხვდნენ და იქიდან გამოსულებმა რიხიანად განაცხადეს მოლაპარაკებებმა შედეგი გამოიღოო. ჩამოთვლილი იყო შეთანხმების პუნქტები. მაგრამ არსად არ ფიგურირებდა გაფიცულთა ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა მგზავრობის გაიაფების თაობაზე. როგორც ჩანს, გაფიცულთა წარმომადგენლებსა და მერიის ტრანსპორტზე ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებს შორის გარკვეული გარიგება შედგა. ორივე მხარემ საბოლოოდ მოქალაქეები, მგზავრები „გადააგდო"** – ამბობს თოფურია.

№45 მარშრუტზე მგზავრობის საფასურის გაძვირებამ მოსახლეობაში საფუძვლიანი ეჭვი გააჩინა, რომ ეს იყო საცდელი ტარიფის მატება. იგივე მოხდება სხვა მოკლე სვლაგეზის „მარშუტკებზეც". 40-იანები 50 თეთრი გახდება და ა. შ. ბოლოს 80 თეთრიანებსაც მიადგებიან და ლარიანს გახდიან.

როგორც ჩანს ამ ხმებმა „თბილისის მიკროავტობუსებშიც" მიაღწიეს და მისმა ხელმძღვანელობამ მორიგი დაპირება გასცა, რომ №45-ის გარდა არც ერთ სხვა მარშრუტზე გაძვირება არ იგეგმება, მით უფრო გრძელ ხაზებზე (მძღოლებმა რომ ისევ მოითხოვონ?! **– ზ. ბ.**).

ანალიტიკოსები ამ გაძვირებაში მერიის, ნაციონალების ამ თავშესაყარი ბუნაგის შორსმიმავალ გეგმებს ხედავენ. კერძოდ უგულავას კანტორა ცენტრალურ ხელისუფლებას დროგამოშვებით ნემსისებრი ჩხვლეტებით აყენებს დარტყმებს, რაც შემდეგ იარებს ტოვებს და „ოცნების" მიმართ უკმაყოფილო ტალღის აზვირთების მიზეზი შეიძლება გახდეს.

**ზაზა ბილიხოძე**

**P. S. ნაციონალები ივანიშვილსა და მის ოცნებას კომუნისტური მენტალიტეტის მქონედ და წარსულისკენ მიზნების მსურველად მოიხსენიებენ, მაგრამ იმას კი არ ფიქრობენ, რომ ამ ეპითეტებს, მათი საქმიანობა უფრო შეეფერება. კომუნისტური ეპოქის გადმონაშთია სამსახურებში ხალხის გაფორმება – „მკვდარი სულები", მათთვის ვინც პოლიტიკურად მათი მხარდამჭერი და პარტიის წევრია მაღალანაზღაურებად სამსახურებში დანიშვნა, სახელმწიფო თანხების არამიზნობრივად ხარჯვა. ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ფაქტიც კომუნისტური იდეოლოგიის ტიპიური მაგალითია კომუნისტური (განსაკუთრებით უძრაობის, ბრეჟნევისეული) პერიოდისა „თბილმიკროავტობუსებში", რომელიც მერიის ერთ-ერთი შვილობილი სტრუქტურაა, აცხადებენ, რომ №45 სამარშრუტო ტაქსებზე ფასის მომატება მძღოლების მოთხოვნაა და ეს მერიასთანაა შეთანხმებული. კომუნისტების ეპოქაში ნებისმიერ ფასმატებას მშრომელთა მოთხოვნითა და სერვისის გაუმჯობესების მომიზეზებით გვიხსნიან. ამატებდნენ, რომ ამის შესახებ შეთანხმებულია სკკპ-ში. დღევანდელი მერიაც ხომ ერთი პარტიის, ნაციონალური მოძრაობის თავშესაყარ ბუნაგად იქცა.**

**ისე გაკვირვებას იწვევს, როგორ არ რცხვენიათ უგულავასა და მის თანამშრომლებს, მერიის დანიშნულ რაიონულ გამგებლებს (ნაციონალური შთამომავლობის მქონეთ), როდესაც ისინი თბილისელებისა და რაიონების სახელით ლაპარაკობენ, მათ ხომ პირწმინდად წააგეს პირველი ოქტომბრის არჩევნები თბილისის ყველა საარჩევნო ოლქში, ყველა უბანზე. ამათზეა ნათქვამი „.... და რა ჟუჟუნა წვიმა მოდისო".**

**ზ. ბ.**

## დედამიწის ზურგზე



**ისრაელში სამშენებლო სამუშაოების დროს აღმოაჩინეს მიწაში ჩაფლული საბჭოთა ტანკი ტ-34**

**ქალაქ ჰოლონში მუშებმა, რომლებიც სახლის საფუძველს თხრიდნენ, მიწის ქვეშ აღმოაჩინეს დიდი ლითონის ობიექტი. საგანი გამოიკვლიეს მოწვეულმა ექსპერტებმა და პოლიციელებმა. აღმოჩნდა, რომ მიწის ქვეშ დამალული იყო საბჭოთა ტანკი ტ-34 კოშკურისა და მუხლუხოების გარეშე. როდის მოხვდა ტანკი ჰოლონში, ჯერჯერობით უცნობია.**

* * *

**მეცნიერებმა გამოარკვიეს თუ როდის და როგორ დაიღუპება სიცოცხლე დედამიწაზე და ვინ იქნება უკანასკნელი**

**ბედის ირონიით, მზის დამღუპველი მოქმედება მილიარდი წლის შემდეგ გადაარჩენს ჩვენს პლანეტას სათბურო ეფექტისგან, რისგან თავდაცვისთვისაც იბრძვის კაცობრიობა უკვე ამჟამად. მაგრამ ამავე დროს იგი საფუძველს გამოაცლის ბიოსფეროს არსებობას. ერთადერთი არსება დედამიწაზე შეიძლება აღმოჩნდეს ზედაპირიდან დიდ სიღრმეზე, მაგრამ ისიც ადრე თუ გვიან გაქრება.**

* * *



**ბოევიკებმა კათოლიკე მღვდელს უცნობი ადამიანების თვალწინ, რომლებიც რუსულად ლაპარაკობდნენ, თავი წააცალეს**

**ფრანცისკანელი მამა ფრანსუა და კიდევ 2 მამაკაცი ბოევიკებმა აიყვანეს მონასტერში სირიის ჩრდილოეთში, რომლებსაც ბრალი დასდეს ბაშარ ასადის რეჟიმთან კავშირურთიერთობებში და სიკვდილით დასაჯეს ხალხის დიდი თავშეყრის ადგილას. მაყურებელთა შორის, რომლებმაც დაინახეს, თუ როგორ წააცალეს თავები ტყვეებს დანებით, იყვნენ ბავშვებიც. მონასტრის დანარჩენი მლოცველების შესახებ არაფერია ცნობილი.**

* * *

**ინდოეთმა გაუშვა პირველი ნავიგაციური თანამგზავრი**

**მთლიანად ამ ქვეყანას განზრახული აქვს ეკვატორულ ორბიტაზე გაუშვას 7 სანავიგაციო თანამგზავრი. სისტემა დაფარავს ინდოეთის სუბკონტინენტის ტერიტორიას და კიდევ დაახლოებით 1,5 ათას კილომეტრს მისი საზღვრიდან 10 მეტრის ცდომილებით.**

* * *

**ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი გადადგა და უკვე აღარ შეცვლის თავის გადაწყვეტილებას**

**ადრე იტყობინებოდნენ იმის შესახებ, რომ კიდევ რამდენიმე მინისტრი, ლამის 11, აპირებს გადადგომას და შეიტანეს ამის შესახებ განაცხადი. მაგრამ პრემიერი არ ღებულობს თხოვნას თავისი კაბინეტის წევრებისგან და ამას ასაბუთებს „სტაბილურობის შენარჩუნების აუცილებლობით". მიუხედავად ამისა, გადადგნენ პრეზიდენტის მრჩეველი და 2 გუბერნატორი.**



# სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ აცხადებს კონკურსს 2013 წლის 16 სექტემბრიდან აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდგომში უნივერსიტეტი) აცხადებს ღია კონკურსს 2013/14 სასწავლო წლიდან სრული პროფესორის (6 წლის ვადით), ასოცირებული პროფესორის (5 წლის ვადით) და ასისტენტ-პროფესორის (4 წლის ვადით) აკადემიური თანამდებობების დასაკავებლიად **შემდეგ ფაკულტეტებზე:**

### 1. ტექნოლოგიური ფაკულტეტი –

ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12, ოთახი №5;

### 2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი –

ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №311;

### 3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი –

ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №44;

### 4. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი –

ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №527, 534;

### 5. ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი –

ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №228;

### 6. განათლების ფაკულტეტი–

ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №58;

### 7. ტურიზმის ფაკულტეტი –

ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №121.

კონკურსანტის განცხადება განიხილება მხოლოდ საკონკურსო განცხადებაში მითითებულ აკადემიურ თანამდებობაზე.

**კონკურსთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე: www.bsu.edu.ge**

## I. განცხადებების მიღების და კონკურსის ჩატარების ვადები

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაციის გაცემა (მათ შორის საკონკურსო ადგილების რაოდენობა და სხვა) და განცხადებების მიღება იწარმოებს საპროცედურო კომისიების მიერ **2013 წლის 1 აგვისტოდან 16 აგვისტოს ჩათვლით,** ყოველ დღე (დასვენებისა და უქმე დღეების გარდა), $10^{00}$ საათიდან $17^{00}$ საათამდე.

კონკურსი ჩატარდება **2013 წლის 19 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით.**

საკონკურსო კომისიების მიერ კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება არაუგვიანეს **2013 წლის 30 აგვისტოსი,** შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე: **www.bsu.edu.ge**

კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდება **2013 წლის 16 სექტემბრიდან.**

## II. საკონკურსო პირობები

2.1. უნივერსიტეტის სრულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

2.2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 5 (ხუთი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

2.3. უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტი.

2.4. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია საკონკურსო დოკუმენტაცია, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარუდგინოს ბსუ-ს იმ ფაკულტეტის საპროცედურო კომისიას, რომლის აკადემიური პერსონალის ვაკანტურ თანამდებობაზეც გამოცხადებულია კონკურსი.

2.5.კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარმოდგენილი იქნას ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე.

2.6. სრული და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარმოუდგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ქსეროასლთან ერთად;

ბ) ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების მიერ;

გ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი მიმართულების სილაბუსი (სილაბუსები);

დ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (სტატია) ავტორის შეხედულებისამებრ, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო საქმიანობას (გამოქვეყნებული ბოლო 6 წლის განმავლობაში);

ე) დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კონცეფცია სწავლების სამივე საფეხურზე;

ვ) უმაღლესი განათლებისა და შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი დამოწმებული სანოტარო წესით;

ზ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4.

2.7. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია საპროცედურო კომისიას წარმოუდგინოს:

ა) პირადობის მოწმობის დედანი ქსეროასლთან ერთად;

ბ) სამოტივაციო წერილი;

გ) უმაღლესი განათლებისა და შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი დამოწმებული სანოტარო წესით ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4.

2.8. სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია, საპროცედურო კომისიას წარმოუდგინოს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსის (სილაბუსების) შესაბამისი კურსის/რიდერის ელექტრონული ვერსია იმ ენაზე, რომელ ენაზეც ტარდება ლექცია.

2.9. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, საპროცედურო კომისიას წარმოუდგინოს „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესით“ დადგენილი კონკურსში მონაწილეობის მსურველის განცხადება (დანართი №2), კონკურსანტის მიერ შევსებული ანკეტა (დანართი №3) და შესაბამისი დოკუმენტაცია.

2.10. კონკურსანტის მიერ შევსებული ანკეტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა, როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით.

2.11. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ ანკეტა შევსებული უნდა იქნას სრულად და მას უნდა ერთვოდეს ანკეტაში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა აუცილებელი დოკუმენტი ან მასალა.

2.12. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

## III. კონკურსში მონაწილეთა შეზღუდვა

3.1. 65 წელს მიღწეული პირის მიერ უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

## IV. კონკურსის ჩატარების წესი

4.1. კონკურსი ჩატარდება “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“** შესაბამისად, რომლებსაც კონკურსანტი გაეცნობა საკონკურსო კომისიებში ან/და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4.2. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის გამოსავლენად გაითვალისწინება:

ა) განათლება, აკადემიური ხარისხი და სამსახურებრივი გამოცდილება;

ბ) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (PhD/საკანდიდატო დისერტაციის დაცვა;

გ) საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-პედაგოგიური და სასწავლო-მეთოდური საქმიანობა;

დ) კონკურსანტის ხელმძღვანელობით შედგენილი აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამები;

ე) კონკურსანტთა მონაწილეობა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და ტრენინგებზე (ბოლო 6 წლის განმავლობაში);

ვ) სასწავლო კურსების რაოდენობა, რომელთა წაკითხვა შეუძლია კონკურსანტს (პრიორიტეტი ენიჭება უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის კურსთან მიმართებით წარმოდგენილ ინფორმაციას);

ზ) საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი დარგის სწავლება და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (ბოლო 6 წლის განმავლობაში);

თ) პუბლიკაციები არაუმეტეს 5-ისა, კონკურსანტის შეხედულებისამებრ (ბოლო 6 წლის განმავლობაში);

ი) პატენტები/გამოგონებები (ბოლო 6 წლის განმავლობაში);

კ) კონკურსანტის შეხედულებისამებრ ბოლო 6 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე (არა უმეტეს 5-ისა).

ლ) საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში.

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო**

---

ალიან-ჩალიანი

### პატიმართა რაოდენობამ მკვეთრად იკლო

**თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პატიმრების რაოდენობა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 59.96%-ით შემცირდა. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის შედარებით სტატისტიკას სასჯელაღსრულების სამინისტრო ავრცელებს.**

**მიმდინარე წლის პირველი ივლისის მდგომარეობით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებულია 9 373 ბრალდებული-მსჯავრდებული, რაც 2012 წლის პირველი ივლისის მაჩვენებელთან, 23 410 პატიმართან შედარებით, 14 037 ერთეულით შემცირდა (59.96%-ით).**

**სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წლის პირველი ივლისის მონაცემებით, ამნისტიის შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები დატოვა სულ 8 707-მა ბრალდებულმა-მსჯავრდებულმა, მათ შორის 175-მა პოლიტპატიმარმა, 432-მა მდედრობითი სქესის სრულწლოვანმა.**

### არადეკლარირებული აიფონები აეროპორტში

**თბილისის აეროპორტში 80 ცალი არადეკლარირებული აიფონი აღმოაჩინეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, თბილისის აეროპორტში 80 ცალი არადეკლარირებული მობილური ტელეფონი -აიფონი აღმოაჩინეს.**

**შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, რეისით დუბაი-თბილისი, სომხეთის მოქალაქე ბორის ბ. ჩამოფრინდა. მას საბაჟო პროცედურებში დასახმარებლად, მოფრენის დარბაზში სომხეთის მოქალაქე აშოტ ა. დახვდა. ბორის ბ-მ აშოტ ა-ს კუთვნილი ხელბარგი გადასცა. სომხეთის მოქალაქე აშოტ ა. დუბაი-თბილისის რეისის კიდევ ერთ მგზავრს, რუსეთის მოქალაქე ნურიჟატ ა-ს შეხვდა, რომელიც ხელბარგით გადაადგილდებოდა. ნურიჟატ ა. და აშოტ ა. ერთად გაემართნენ გასასვლელისაკენ. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა განუმარტეს მოქალაქეებს, რომ მათი ხელბარგი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დათვალიერებულიყო.**

**დეტალური დათვალიერების შემდეგ შეივსო მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერების ოქმი, სადაც აღინიშნა, რომ მგზავრები საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით გადაადგილებდნენ შემდეგ ნივთებს: ტელეფონი IPHONE 5 – 80 ცალი (A1428-41 ცალი, A1429-39 ცალი), APPLE IPAD – 1 ცალი.**

**საქონლის სატარიფო ღირებულების დადგენის მიზნით, საქონელი დაილუქა და გაიგზავნა ექსპერტიზაზე. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ღირებულებამ 87 166,75 ლარი შეადგინა. საქმე შემდგომი გამოძიების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.**

### „ანაბანელებმა“ პირველი პრემია და ლაურეატობა მოიპოვეს

**გერმანიის ქალაქ ბადენბადენში გამართულ ბავშვთა საერთაშორისო კონკურსზე „ანაბანას“ ორ აღსაზრდელს ორ ასაკობრივ კატეგორიაში I პრემია და ლაურეატის წოდება მიენიჭა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ხელოვნების აკადემიის“ რექტორმა, პიანისტმა ვალერიან შიუკაშვილმა განუცხადა, „ანაბანას“ ბავშვებმა – 9 წლის ლაშა მორჩილაძემ და 10 წლის მედუნა ჯამარაულმა, რომლებმაც წინა წლებში ცაბაძის სახელობის ქართული სიმღერის კონკურსში გაიმარჯვეს, გერმანიის ქალაქ ბადენბადენში საესტრადო და კლასიკური ვოკალის მოზარდთა საერთაშორისო კონკურსზე ორ ასაკობრივ კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვეს. კერძოდ, I პრემიითა და ლაურეატის წოდებით დაჯილდოვდნენ. ისინი საესტრადო მუსიკის განყოფილებაში გამოდიოდნენ.**

**კონკურსი ბადენბადენში 13-19 ივნისს ჩატარდა.**

ინტერპრესი

კალათბურთი



# „არმია“ არ დაიშლება

**ბოლო დროს შექმნილი პრობლემების მიუხედავად, საქართველოს ექსჩემპიონი „არმია“ არ დაიშლება და 2013-14 წლების საკალათბურთო სეზონში საქართველოში არსებული ყველა ტიტულის დასაბრუნებლად იბრძოლებს.**

**ამის შესახებ „არმიის“ მთავარმა მწვრთნელმა კოტე ტუღუშმა განაცხადა.**

შეგახსენებთ, რომ „არმია“ სამი საკალათბურთო სეზონია რაც არსებობს და საქართველოში ყველა ტიტული (საქართველოს ჩემპიონობა, საქართველოს თასი, საქართველოს სუპერთასი, დუდუ დადიანის მემორიალი, ზურაბ საკანდელიძე-მიხეილ ქორქიას მემორიალი) მოიგო. „არმიამ“ 2012-13 წლების სეზონიც კარგად დაიწყო - დადიანის მემორიალი მოიგო, მაგრამ მეორე წრეში ფინანსური პრობლემა შეექმნა და გუნდიდან 5 წამყვანი კალათბურთელის (კურტის მილიჯი, დამეინ ვილსონი, მარკუს ფეისონი, იოაკიმ შელბომი, ვლადიმერ ბოისა) წასვლის შემდეგ ჩემპიონობის, თასის, სუპერთასისა და საკანდელიძე-ქორქიას მემორიალის მოგება ველარ შეძლო და მხოლოდ სუპერლიგის ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა.

**მანუჩარ გიორგაძე**

სეზონის წინ

# „ზესტაფონი“ ეროვნულ ჩემპიონატში ითამაშებს

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ზესტაფონის მაჟორიტარი დეპუტატი გოგი ქავთარაძე, ქალაქის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ ქამუშაძე, კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია, სფფ-ის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენერალური მდივანი რევაზ არველაძე ესწრებოდნენ, გარეთ კი განაჩენს 600-მდე გულშემატკივარი ელოდა. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა და ნათათბირევს გაცხადდა — „ზესტაფონი“ ეროვნულ ჩემპიონატში ითამაშებს. ეს ამბავი დღეს სფფ-ის ალმასკომის სხდომაზე ოფიციალურად დაფიქსირდება. მოგეხსენებათ, მომავალ ჩემპიონატში მონაწილეობაზე თანხმობა დღემდე 11 კლუბს უკვე ნათქვამი ჰქონდა, მხოლოდ „ზესტაფონი“ რჩებოდა და მისი პრობლემაც გადაწყდა.**

მთავრობა და კლუბი კომპრომისულ ვარიანტზე შეთანხმდნენ — ინფრასტრუქტურას (ბაზა, სტადიონი, პერსონალი) მუნიციპალიტეტი დააფინანსებს, ხოლო უშუალოდ საფეხბურთო საქმეებს კერძო ინვესტორი (ამ შემთხვევაში ილია კოკაია) მიხედავს. თუმცა, ისიც აღნიშნეს, რომ იანვრამდე მუნიციპალიტეტის დახმარება ვერ მოხერხდება. სამაგიეროდ, საკრებულომ კლუბის დავალიანება (2275 ლარი) დაფარა და სტადიონსა თუ ბაზაზე შუქისა და წყლის პრობლემა არც ახლა და არც მომავალში აღარ იქნება.

ვიმედოვნებთ, ზესტაფონური დავიდარაბა ამით დამთავრდება და საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ადრინდელ პოზიციას დაიბრუნებს. ფეხბურთელები ჯერ არ ვარჯიშობენ და შეკრების დაწყების თარიღიც უცნობია. მაგრამ ბოლო ამბებიდან გამომდინარე, გულშემატკივრებს ალბათ ცდა დიდ ხანს აღარ მოუწევთ.

**გიორგი შოთაძე**

მეტოქე

# ბაუერმანმა 4 დაითხოვა, გორტატი და ლამპე სიაში რჩებიან

## ევრობასკეტამდე პოლონეთი და საქართველო ძალებს იტალიურ ტურნირზე მოსინჯავენ

**პოლონეთის საკალათბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დირკ ბაუერმანმა ის 17 მოთამაშე დაასახელა, რომელიც 23 ივლისიდან 2013 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ციკლს დაიწყებს. შეგახსენებთ, რომ პოლონელთა გაფართოებულ შემადგენლობაში 21 კალათბურთელი გახლდათ, ამდენად, ბაუერმანს 4 კაცის დათხოვნა მოუხდა.**

ყველაზე მოულოდნელი ნაკრებიდან 23 წლის ფორვარდის ალექსანდერ ჩიზის გაშვება იყო. ამ კალათბურთელმა გასული სეზონი იტალიის ჩემპიონატის ფინალისტ „ასეა რომაში“ გაატარა და საშუალოდ 14 წუთში 5 ქულას და 3 მოხსნას აგროვებდა.

იტალიაში ირჯებოდა ეროვნულ გუნდს მიღმა დარჩენილი კიდევ ერთი მოთამაშე — ასევე 23 წლის ცენტრი იაკუბ ვოიჩიეხოვსკი. ეს უკანასკნელი რანგით მე-3 დივიზიონ ნაციონალეს ბინადარ „ტორინოში“ ირიცხებოდა და ჩემპიონობაც იზეიმა. პოლონელის საშუალო მონაგარი 14 ქულა და 8 მოხსნა გახლდათ.

კიდევ 2 კალათბურთელი, რომელიც ნაკრებიდან დაითხოვეს, პოლონეთის ეროვნულ პირველობას წარმოადგენდა: იაკუბ დლონიაკი („ტარნობრჟეგი“) და პიოტრ პამულა („ასეკო პროკომ გდინი“).

„ეროვნული გუნდისთვის წევრების შერჩევა ყოველთვის პრობლემებთანაა დაკავშირებული. ჩვენ აშშ-ში, იტალიასა და ესპანეთში ვიმყოფებოდით, კანდიდატებს შევხვდით და მათი თამაშები ვნახეთ. ამ ბიჭებმა კიდევ უნდა დაგვანახონ, რომ ნაკრების დახმარება და მისთვის წარმატების მოტანა შეუძლიათ“, — განუცხადა ბაუერმანმა პოლონეთის კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ-გვერდს.



ცხადია, პოლონელი გულშემატკივრისთვის ყველაზე საინტერესო ეროვნული გუნდის განაცხადში მარცინ გორტატის შენარჩუნებაა. „ფინიქს სანზის“ ცენტრის გარშემო არაერთი ჭორ-მართალი არსებობდა, რასაც ხელს მისი ორაზროვანი განცხადებებიც უწყობდა. ახლა, უკვე ცხადია, რომ გორტატიც და პოლონელთა კიდევ ერთ ცნობილი კალათბურთელი მაჩიეი ლამპე („კახა ლაბორალ ვიტორია“, ესპანეთი) ნაკრებთან ერთად იქნებიან.

როგორც აღვნიშნეთ, პოლონეთი, რომელიც მომავალ ევრობასკეტზე საქართველოს ერთ-ერთი მეტოქეა, ტურნირისთვის მზადებას 23 ივლისიდან დაიწყებს, პირველი საკონტროლო მატჩი კი 7 აგვისტოს ელის.

საინტერესოა, რომ 7-9 აგვისტოს პოლონეთის და




საქართველოს ნაკრებები იტალიური ტრენტოს ოთხთა ტურნირში ერთად ითამაშებენ და მეტოქეებად მასპინძელთა და ისრაელის გუნდებიც ეყოლებათ.

13 აგვისტოს ბაუერმანის შეგირდები სტუმრად მოქმედ ევროპის ჩემპიონ ესპანეთს ეთამაშებიან, 17-19 აგვისტოს კი ბელგიურ ტურნირზე მასპინძლებს, იტალიას და ისრაელს დაუპირისპირდებიან.

პოლონელებს ბოლო მოსამზადებელი ეტაპი 23-25 აგვისტოს ელით, როდესაც უკვე შეჯიბრის ადგილას, სლოვენიაში იქნებიან ჩასულნი და ლიუბლიანას ოთხთა ტურნირზე დიდ ბრიტანეთს, შვედეთს და უკრაინას გაეჯიბრებიან.

შეგახსენებთ, რომ პოლონეთის და საქართველოს ნაკრებები ევროპირველობის C ჯგუფში მოხვდნენ და ქალაქ ცელიეში მასპინძელ სლოვენიის, ესპანეთის, ხორვატეთის და ჩეხეთის გუნდებთან ერთად ითამაშებენ.

ამ ჯგუფში ასპარეზობა სწორედ საქართველოს და პოლონეთის დაპირისპირებით გაიხსნება. ეს შეხვედრა 4 სექტემბერს გახლავთ დაგეგმილი და ჯგუფში არსებული ძალთა თანაფარდობის გათვალისწინებით, მომდევნო ეტაპის საგზურისთვის ბრძოლაში მის შედეგს უდიდესი მნიშვნელობაც ექნება.

პოლონეთის ნაკრების 17-კაციანი შემადგენლობა 2013 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის

მიხაელ ჩილინსკი (ტუროვი), ტომაშ გიელო (ლიბერტი, NCAA), მარცინ გორტატი (ფინიქს სანზი, NBA), ადამ ჰრიჩანიუკი (ვალენსია ბასკეტი, ესპანეთი), მიხალ იგნერსკი (ბანკო დი სარდინია სასარი, იტალია), პრჟემისლავ კარნოვსკი (გონზაგა, NCAA), ტომას კელატი (ვალენსია ბასკეტი, ესპანეთი), ლუკაშ კოშარეკი (ზიელონა გორა), დამიან კულიგი (ტუროვი), მაჩიეი ლამპე (კახა ლაბორალ ვიტორია, ესპანეთი), მიხალ მიხალაკი (ტრეფლ სოპოტი), მატეუშ პონიტკა (ასეკო პროკომ გდინია), შიმონ შევჩიკი (უმანა რეიერ ვენეცია, იტალია), კრჟიშტოფ შუბარგა (ანვილი), ადამ ვაჩინსკი (ტრეფლ სოპოტი), ლუკაშ ვიშნიევსკი (კოშალინი), პრჟემისლავ ზამოისკი (ასეკო პროკომ გდინია).

**ვიტალი ჯაფარიძე**

ემიგრაცია

# გერმანიის ქართული სათვისტომოს რჩეულნი

**გერმანიის ქართული სათვისტომოს ინიციატივით, შტუტგარტში უკვე მესამედ გაიმართა ქართული ტურნირი მინი-ფეხბურთში. მასში მონაწილეობა შეეძლო გერმანიის ნებისმიერ ქალაქში მცხოვრები ქართველებისგან დაკომპლექტებულ გუნდს. წლეულს ტურნირში თამაშობდნენ:**

„გაერთიანებული საქართველო“ (შტუტგარტი),
„მოგუდე“ (შტუტგარტი),
„გოჩია“ (შტუტგარტი),
„გორგასალი“ (მიუნხენი),
„ივერიელი/იზარდალეული“ (მიუნხენი),
„კოლხა“ (მიუნხენი),
„კოდალები“ (აუგსბურგი),
„ფეოლა“ (ფრაიბურგი),
„ტუბინგენი“ (ტუბინგენი).

თამაში მესამე ადგილის მოსაპოვებლად აუგსბურგის „კოდალებსა“ და მიუნხენის „გორგასალს“ შორის გაიმართა და ანგარიშით 7:3 „კოდალების“ გამარჯვებით დასრულდა.

„ფეოლასა“ და „ივერიელი/იზარდალეულს“ შორის გამართულ დაძაბულ ფინალურ შეხვედრაში ფრაიბურგის გუნდმა დამატებით დროში გატანილი გოლით (3:2) იმარჯვა და უკვე მეორედ გახდა გერმანიის ქართული სათვისტომოს თასის მფლობელი. „ფეოლა“ შარშანდელი ტურნირის გამარჯვებულიცაა.



ტურნირში ყველაზე მეტი — 14 გოლი აუგსბურგის გუნდის მოთამაშემ გიორგი წიკლაურმა გაიტანა და ტურნირის ბომბარდირი გახდა. მან ეს ტიტული უკვე მეორედ მოიპოვა. შეხვედრის ორგანიზატორებისგან გიორგი წიკლაურს „ოქროს ბუცი“ გადაეცა. გარდა ამისა, გამოვლინდა და სამახსოვრო პრიზით დაჯილდოვდა ტურნირის საუკეთესო მეკარე — აუგსბურგის „კოდალების“ მოთამაშე ზვიად მაჩხოშვილი.

ტურნირის მონაწილე ყველა გუნდს საპატიო სიგელი, თითოეულ მოთამაშეს კი სამახსოვრო მედალი გადაეცა.

ამასთანავე, წლევანდელ ტურნირზე საქველმოქმედო აქცია მოეწყო - შეგროვდა შემოწირულობა გიორგი ჯიშკარიანის ოჯახის დასახმარებლად. პატარა გიორგი ამჟამად ფრაიბურგის კლინიკაში იმყოფება გამოკვლევაზე.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ახალ ამპლუაში

# ნემსაძე „სიონს“ პასუხს დღე-დღეზე ეტყვის

**საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ექსკაპიტანმა გიორგი ნემსაძემ, დაადასტურა, რომ ბოლნისის „სიონის“ ხელმძღვანელობა მთავარი მწვრთნელის პოსტს სთავაზობს. თუმცა, დასძინა, რომ ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია.**



**გიორგი ნემსაძე:** რეალურია, რომ „სიონის“ მთავარი მწვრთნელი გავხდე, მაგრამ ჩემზეა დამოკიდებული რას გადავწყვეტ. კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება მაქვს და პასუხს დღე-დღეზე ვეტყვი. დავფიქრდები, რადგან დაჩქარებული პასუხის გაცემა არ მინდა. ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი. ყველაფერი შეიძლება მოხდეს — დადებითი პასუხიც გავცე და უარყოფითიც.

ნემსაძე, რომელიც თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატია, საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრებში გოჩა ტყებუჩავას ასისტენტია. რომან ფიფიას “დინამოში“ მისვლის შემდეგ, ის კლუბში სპორტულ დირექტორად მუშაობდა, მაგრამ შარშან თანამდებობა დატოვა.

**ბეჟან დოლიძე**

ხსოვნა

# ალექსანდრე ქურდაძე



სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრე დავითის ძე ქურდაძე**.

შეწყდა სახელოვანი მამულიშვილის სიცოცხლე, რომელმაც მთელი თავისი საქმიანობა მიუძღვნა ქვეყნის კვების მრეწველობის განვითარების უმნიშვნელოვანეს საქმეს.

დაიბადა 1930 წლის 15 მარტს, ქ. ხაშურში. ოქროს მედალზე სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტიუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, სადაც მიიღო ინჟინერ-მექანიკოსის განათლება.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საკონსტრუქტურო ბიუროს მთავარ კონსტრუქტორად, თბილისის №1 ღვინის ქარხნის მთავარ ინჟინრად, შამპანური ღვინოების ქარხნის დირექტორის მოადგილედ, სამტრესტის მმართველის მოადგილედ, მეღვინეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

ბატონი ალექსანდრე, როგორც მეღვინეობის დარგში მეტად მაღალი კომპეტენციის სპეციალისტი, ტექნიკური დახმარების მიზნით ორი წელი იმყოფებოდა ბულგარეთში, სადაც მონაწილეობდა კვების მრეწველობის ორი საწარმოს მშენებლობა-გაშვების სამუშაოებში.

ალექსანდრე ქურდაძემ საყოველთაო აღიარება მოიპოვა, როგორც ნიჭიერმა გამომგონებელმა და რაციონალიზატორმა. 1967 წელს მას საქართველოს დამსახურებული გამომგონებლის, ხოლო 1988 წელს კი საბჭოთა კავშირის დამსახურებული გამომგონებლის წოდებები მიენიჭა. მიღებული აქვს საავტორო მოწმობა 96 გამოგონებაზე. მისი ერთ-ერთი გამოგონების ლიცენზია გაიყიდა იტალიაში და ფინეთში, ხოლო დაპატენტდა ესპანეთში და არგენტინაში.

1981 წელს ბატონი ალექსანდრე საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა.

ალექსანდრე ქურდაძის, როგორც მეცნიერისა და გამორჩეული ინჟინრის საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ 1996 წელს არჩეული იქნა საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო 1999 წელს ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

ათეული წლების მანძილზე ალექსანდრე ქურდაძე აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც არჩეულ იყო პროფესორის თანამდებობაზე. იგი 55 სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორის 3 სახელმძღვანელოსი.

ალექსანდრე ქურდაძის საქმიანობა განსაკუთრებულად გააქტიურდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ. თავისი განსაკუთრებული ორგანიზატორული და ინტელექტუალური უნარის მეშვეობით მან უაღრესად სასარგებლო იმპულსი შესძინა საბაზრო ეკონომიკის განვითარების პროცესს ქვეყნის მეღვინეობის დარგის მიმართულებით.

1998 წლის 18 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ალექსანდრე ქურდაძე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. მისი დაუღალავი შრომა აღნიშნულია სხვა მრავალი ორდენით, მედლითა და დიპლომით, რაც ბატონ ალექსანდრეს მრავალმხრივ და შინაარსიან შრომით საქმიანობაზე მეტყველებს.

პროფესორი ალექსანდრე ქურდაძე მეტად აქტიურ საქმიანობას ეწეოდა, როგორც საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პრეზიდიუმის წევრი და აგროინჟინერიისა და მსუბუქი მრეწველობის აკადემიკოს-მდივანი.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ბატონი ალექსანდრე გამოაკლდა ფართო სამეცნიერო-საინჟინრო საზოგადოებას, სადაც მას განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ ათეული წლების მანძილზე. მის აზრს, რჩევებს უდიდესი ყურადღებით იზიარებდნენ. წავიდა ჩვენგან განსაკუთრებული ცხოვრებისეული გამოცდილებითა და სიბრძნით დაჯილდოებული ერისკაცი, რომლის სახელი და საქმე არ წაიშლება საინჟინრო მეცნიერების ისტორიაში.

პროფესორი ალექსანდრე ქურდაძე წავიდა ჩვენგან როგორც ვალმოხდილი მამულიშვილი ერისა და ქვეყნის წინაშე, რომელსაც მან თავდადებით მიუძღვნა მთელი თავის ცხოვრება.

ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა.

**საქართველოს საინჟინრო აკადემია**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

**არჩილ ფრანგიშვილი, ვანო გორგიძე, დავით გორგიძე, გივი აბდუშელიშვილი, შალვა ნაჭყებია, ალეკო ჩხეიძე, გურამ ჯავახაძე დიდი გულისტკივილით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ღირსეული მამულიშვილის, პროფესორ**

**ალექსანდრე ქურდაძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კლინიკის ფინანსური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს მანანა სვანიძეს და მთავარ ეკონომისტს ეთერ სვანიძეს გარდაეცვალათ დედა და დედამთილი, დამსახურებული პედაგოგი, უაღრესად კეთილშობილი ქალბატონი**

**ელენე ავალიანი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**სპარტაკ და მანანა ქობულიები ოჯახით თანაუგრძნობენ ბადრი და ეთერ სვანიძეებს დედისა და დედამთილის**

**ელენე ავალიანის**

**გარდაცვალების გამო.**

**შვილები ლალი, გია მახარაძეები, შვილიშვილები თეა, რუსუდან ბროკიშვილები, ნათია, სოფო მახარაძეები, შვილთაშვილები ელენე, მარიამ წერეთლები, ნიკა, გიორგი ლურსმანაშვილები, რძალი მარინე კოპალიანი, სიძეები პაატა წერეთელი, რეზო ლურსმანაშვილი, დისწული, ძმისწულები, მაზლისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ნათელა (ნასტია) ლუკას ასული**

**ბერძენიშვილი-მახარაძე**

**პანაშვიდი 4, 5 VII, 17 სთ. დაკრძალვა 6 VII, 15 სთ. ჩოხატაური, სოფელი იანეული.**

**სნევი, რეზო, ზაზა, ნიკო თევზაძეები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გია მახარაძის დედა, ქალბატონი**

**ნათელა მახარაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ახლობლებს.**

---

მკითხველის რეპლიკა

## „ლიკანი“ გაძვირდა ოცი პროცენტით



ამ არეულ დროში რაღა უნდა გაუკვირდეს კაცს, მაგრამ ასეთი „უთოფო ყაჩაღობა“, მაინც ნაკლებად შეგხვდებათ: **ცნობილ მინერალურ წყალ „ლიკანს“, რომელიც ლიტრ და 1250-გრამიან ბოთლში იყო ჩამოსხმული და 1 ლარად ვყიდულობდით, „პატრონებს“ 250 გრამი ჩამოუკლიათ და 1-ლიტრიანი ბოთლისთვის ძველი ფასი 1 ლარი დაუტოვებიათ!..**

მაგარია, არა! ეტყობა, „ლიკანის“ ბიზნესი ჩაუვარდათ ბიჭებს და ურცხვად „დააპატარავეს“ ბოთლი! ყოჩაღ! აი, მაგალითი, კეთილსინდისიერი“ ბიზნესისა!“

**გურამ ბუკია**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა!

# ერთი თბილისელის მოგონებათა კვალდაკვალ

**— იცი, ჰიტლერი საქართველოში რომ არის ნამყოფი? — ეს, ცოტა არ იყოს, სენსაციური კითხვა უბნელმა მეგობარმა, მწიგნობარმა კაცმა და კეთილშობილმა პიროვნებამ ვახტანგ კვანტალიანმა რამდენიმე დღის წინათ დამისვა.**

— პირველად მესმის-მეთქი, — გულწრფელად ვუპასუხე. თავისი ინფორმაციის სანდოობის დასტურად კი ვახტანგმა 2000 წელს ვენაში გამოცემული წიგნი — „ერთი თბილისელის მოგონებები“, გამომიტანა რომლის ავტორი **რეზო გულუა** გახლავთ.

თავად ბატონი რეზო გულუა, განათლებით იურისტი და ინჟინერ-მშენებელი, 1977 წლიდან თბილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, ავსტრიაში მუდმივად საცხოვრებლად კი 1992 წელს გადავიდა.

თბილისში გატარებული ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის, საკუთარი ოჯახის, უბნის, დედაქალაქის ამბებს ბატონი რეზო უდიდესი სითბოთი, გაუნელებელი ნოსტალგიით აღწერს, თან შიგადაშიგ ისეთ ფაქტებსაც აწვდის მკითხველს, რომელთა ერთი მაგალითი წერილის დასაწყისშივე მოვიყვანე.

ზემელზე გატარებული წლებიდან ბატონი რეზოს მეხსიერებას განსაკუთრებით მკაფიოდ დიდებულ პიროვნებებთან — გალაკტიონ ტაბიძესთან, ნოდარ დუმბაძესთან, გურამ ფანჯიკიძესთან, ნიაზ დიასამიძესთან, სხვებთან შეხვედრები შემორჩენია. გულთბილად იხსენებს ბათუმში ყოფნის პერიოდს, როცა მამის დანიშვნასთან დაკავშირებით ოჯახი ბათუმში საცხოვრებლად გადავიდა.

რეზო გულუას ბებია (დედის დედა) მარიამ რობაქიძე მწერალ გრიგოლ რობაქიძის ბიძაშვილი იყო, რომელიც ლიტერატურულ და საზოგადოებრივ შემოქმედებას გერმანიაში ეწეოდა. ადოლფ ჰიტლერის ამბავიც ბატონ რეზოს ქალბატონ მარიამისგან სმენია, რასაც ასე ჰყვება: „ბებია მიყვებოდა, რომ ჰიტლერი ქუთაისში სამხედრო სამსახურში იყო, საქართველო და ქართველები დიდად აინტერესებდა. ამ ფაქტს ის გარემოებაც ადასტურებს, რომ დეიდაჩემ თამარის ქმარმა, რომელიც 1942 წელს ქერჩთან ტყვედ ჩავარდა და თანამემამულეებთან ერთად პარიზში აღმოჩნდა, და იქ ქართველ მომღერალთა გუნდი ჩამოაყალიბა, 1945 წლის გაზაფხულამდე პარიზის პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში დიდი წარმატებით გამოდიოდა... ცნობილია, რომ ამ კონცერტებს გრიგოლ რობაქიძეც ესწრებოდა. 1943 წელს პარიზში ყოფნისას ქართული გუნდის კონცერტს დათაშკა (დავით) კავსაძის ხელმძღვანელობით ჰიტლერიც დასწრებია. კონცერტზე ფიურერის თხოვნით სტალინის საყვარელი სიმღერა „გაფრინდი, შავო მერცხალო“ შეუსრულებიათ. ჰიტლერი კონცერტით კმაყოფილი დარჩენილა და გუნდის წევრებისა და ლოტბარისთვის დიდი წარმატებები უსურვებია“.

მკითხველისთვის უდავოდ ძალიან საინტერესოა წიგნის ის ნაწილი, რომელიც ბატონი რეზოს ბიძის, დეიდა თამარის მეუღლის დათაშკა კავსაძის სახელთანაა დაკავშირებული. ბატონ დათაშკას მამა სანდრო გორის გიმნაზიაში იოსებ სტალინის თანაკლასელი ყოფილა. ბატონი სანდრო საქართველოს ხალხური სიმღერის გუნდის ხელმძღვანელი იყო, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში და მთელ საბჭოთა კავშირში, მოსკოვში თავის დასთან ერთად, სტალინს მთელ თვეს სტუმრობდა. დამშვიდობებისას სტალინს სანდროსთვის მისივე თხოვნით, თავისი ჩიბუხი უჩუქებია, რომელიც შემდეგ ბატონი რეზოს დეიდის ოჯახში ინახებოდა.



ჩიბუხთან დაკავშირებით რეზო წერს, რომ ომის შემდეგ თბილისში სტალინის საჩუქრების მუზეუმის თანამშრომლები ჩამოსულან და ქალბატონი თამარისთვის სამუზეუმოდ მისი მიყიდვა უთხოვიათ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ორ ვაჟიშვილს, მათ შორის ჩვენს სასიქადულო მსახიობ კახი კავსაძეს, გაჭირვებაში ზრდიდა, შეთავაზებაზე მაინც უარი უთქვამს.

„ერთი თბილისელის მოგონებები“ ციდა წიგნია, თუმცა, მასში დედაქალაქის ისეთი სითბოა ჩაღვრილი, რომელიც სხვადასხვა ეპოქის — ომამდელ და ომის შემდგომ, ასევე კოლორიტულ პიროვნებებს თუ ღირსშესანიშნავ მოვლენებს ეხება, რომ მისმა წაკითხვამ პირადად ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, რისთვისაც ჩემს მეგობარს ვახტანგ კვანტალიანს მადლობას მოვახსენებ.

ის კი, რაც აქ წერია, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა!

**ოთარ ტურაბელიძე**

## ჩვენი უმრწემესი ძმები

# რომელია ოჯახის საუკეთესო მეგობარი?



**პატარა ძაღლი**. ყველაზე მოსიყვარულეა, მაგრამ მისი მოვლა მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე პატარა ბავშვის მოვლას შეესაბამება და მოითხოვს სეირნობასაც.

**ვირთხა**. რასაკვირველია, მხედველობაში არაა სარდაფისა და სანაგვის ვირთხა, ის სპეციალურად გამოყვანილია, მეტად გონიერია, თითქმის არასოდეს ხდება ავად, მოყვარულია, ჭამს ყველაფერს.

**მინი-პიგი**. მეტად ორიგინალური ვარიანტია. ამ დროს ეს პატარა ცხოველი არის მშვიდი, მოსიყვარულე, სისუფთავის მოყვარული და, როგორც ყველა ღორი, გონიერი.

**კუ**. ნახევარი წელი – შემოდგომიდან გაზაფხულამდე – ძინავს, თითქმის არ მოითხოვს მოვლას. ჭამს ცოტას და ადვილად გადის ტანში. ცხოვრობს დიდხანს, ამიტომ გექნებათ მრავალი წელი, რომ თვალყური ადევნოთ მის ზრდას.

**დიდი თუთიყუში**. ცოცხლობს დიდხანს. მისი ტვინი შეიძლება 5 წლის ბავშვის ტვინს შევადაროთ, მაშასადამე, ის კარგი კომპანიონი-მოსაუბრეა.

**ზღვის გოჭი**. ზაზუნასაგან განსხვავებით ცოცხლობს დიდხანს (7 წლამდე), არის მოსიყვარულე, გულზიარი, თანაც მისი მოვლა არ არის რთული, ხარჯები კვებაზე კი – მინიმალური. არ იწვევს ალერგიებს. კარგია ბავშვებისთვის.



**თევზები**. ფსიქოლოგების აზრით, ძალიან ამშვიდებენ ნერვებს. არც დიდად მომთხოვნები არიან მოვლაში. შეიძლება დიდი ხნით დავტოვოთ უყურადღებოდ.

**კატა**. არ მოითხოვს გასეირნებებს, მაგრამ თავისებურია და ხშირად იწვევს ალერგიას.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გაშინჯული გაზეთებიდან



### რკინიგზის გახსნაზე აფხაზებიც ფიქრობენ?

„აფხაზეთი აფხაზური რკინიგზის აღდგენას დასთანხმდება“ – განცხადება ამის შესახებ მოსკოვში გამართულ კონფერენციაზე აფხაზეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბამ გააკეთა და აღნიშნა, რომ აფხეზეთში ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული შიში არსებობს. „მიმაჩნია, რომ მოცემული საკითხი საინტერესოა აფხაზებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად არსებული კომუნიკაციები გვაკავშირებს რუსეთთან და ამით წყდება ჩვენი ყველა სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური საკითხები. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთი მაინც ერთგული რჩება თავისი მოკავშირული ურთიერთობებისა რუსეთთან, ეჭვი არ მეპარება, რომ საბოლოო ჯამში ის დასთანხმდება ამ პროექტს“.

„ალია“

### „ივანიშვილის ხელისუფლება დიდ გაუგებრობაშია“

– მიიჩნევს ირინა სარიშვილი, – მე ვხედავ ერთადერთ რამეს, რომ ბიძინა ივანიშვილი ამბსოლუტურად ვერ აკონტროლებს პოლიტიკურ სიტუაციას. ის, რაც მას მაგრად ესმის და გამოსდის, სავარაუდოდ, წესრიგში აქვს. ყველაფერი დანარჩენი კი არის ძალიან მძიმე შთაბეჭდილების მქონე, რაც ხდება პოლიტიკურ სფეროში. ფაქტი ერთია, რომ საზოგადოების დაკვეთა, რაც არის სამართლიანობის აღდგენა, ამას თვითონ ხელისუფლებიდანვე ხვდება წინააღმდეგობა და სწორედ ეს არის მიზეზი ამდენი დაჭერა-გამოშვების და ამდენი კურიოზული და სასაცილო მოქმედებისა ხელისუფლების მხრიდან.

„ახალი თაობა“

### მეწარმეები პურის „შეღებვას“ ადასტურებენ

საქართველოში შავი პური არ იყიდება. სარეალიზაციოდ გამოტანილი ასეთი სახის პური სინამდვილეში თეთრი, ან, უკეთეს შემთხვევაში, რუხი ფქვილისგან ცხვება, რომელიც სპეციალური მინარევებით არის გაჯერებული. პურის ქარხნებში ადასტურებენ, რომ მეპურეები მუქი-შავი პურის გამოსაცხობად სხვადასხვა მინარევებს იყენებენ, თუმცა, აქვე დასძენენ, რომ ეს მინარევები ოფიციალურად დარეგისტრირებულია და ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის. მომხმარებელთა უფლებების დამცველები კი თვლიან, რომ ეს ფალსიფიკაციაა და მომხმარებლის მოტყუებისთვის ასეთი პურის საცხობები მკაცრად უნდა დაისაჯონ.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ჩვენი კარაბადინი

# პაროდონტოზი ციფრებსა და ფაქტებში

**პაროდონტოზს ჩვეულებრივად პაროდონტის დაავადებათა ჯგუფს უწოდებენ, რომელთაგანაც ძირითადია გინგივიტი, პაროდონტიტი და თავად პაროდონტოზი.**

გინგივიტი – ესაა ღრძილების ანთება. ვითარდება კბილის ნადებში არსებული მიკროორგანიზმების ზემოქმედებით.

პაროდონტიტი – ეს არის კბილების გარშემო არსებული ქსოვილების (პაროდონტის) ანთება შემდგომ კბილის იოგების ნგრევით. ვლინდება ღრძილების სისხლდენით, ტკივილების შეგრძნებით ზედ დაწოლის დროს, არასასიამოვნო სუნით პირის ღრუდან, კბილების ყანყალით.

პაროდონტოზი – არის კბილების გარშემო არსებული ქსოვილის (პაროდონტის) სისტემური დაზიანება. ნიშნები – ღრძილების გაფერმკრთალება, უჩირქოდ. ხშირად ჩნდება შაქრის დიაბეტისა და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების საქმიანობის დარღვევათა, შინაგანი ორგანოების სხვა ქრონიკულ დაავადებათა დროს.

პაროდონტის დაზიანებისგან 5-ჯერ უფრო ხშირედ ვკარგავთ კბილებს, ვიდრე კარიესის გართულებისგან.

**პაროდონტის ყველა დაავადების 2 პროცენტი პაროდონტოზზე მოდის; 15-18 პროცენტი – გინგივიტზე და 60 პროცენტზე მეტი – პაროდონტიტებზე.**

პაროდონტოზის წარმოქმნის პირველი საგანგაშო სიგნალია – მტკივნეული რეაქცია ცივ და ცხელ საჭმელებზე.

რეკომენდებულია წელიწადში 2-ჯერ მივაკითხოთ სტომატოლოგს და ღრძილების დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში გავიაროთ მკურნალობის სრული კურსი სპეციალისტთან.

პირში კბილის უხარისხო გვირგვინებისა და პლომბების არსებობამ შეიძლება ღრძილების ანთება გამოიწვიოს.

**ბავშვების 80 პროცენტს გინგივიტი აქვს.**

კბილის ქვის პერიოდული მოშორება და კბილების სისტემატური მოვლა – პაროდონტოზის პროფილაქტიკაა.

მჟავე კომბოსტო ღრძილების დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის დიდებული საშუალებაა.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**ღელვის დროს მგზავრი კაპიტანს ეკითხება:**
**– რა მანძილზეა უახლოესი მიწა?**
**– ორ მილში.**
**მგზავრს გაუხარდება და ჩაეკითხება:**
**– რომელ მხარეს?**
**– ქვემოთ.**

* * *

**გადავირიე კაცო, გუშინ ეს რა წავიკითხე, – ამბობს სვანი, – ქვრივი ქალები ქმრებზე დიდ ხანს ცხოვრობენო.**

* * *

**– ჩვენ ადრეც შევხვედრილვართ ერთმანეთს.**
**– არ გამიკვირდა, რა ნაცნობი სხეულია-მეთქი?!**

* * *

**თუ ქალს არაფერი ეხერხება და არც არაფერი იცის, მეძავად მუშაობს.**
**იმავე მონაცემების კაცი**



**– ღამის დარაჯად. იმიტომ რომ, ორივეს ღამის გაყვანაში უხდიან ფულს.**

* * *

**მიხოს სასამართლოზე ეკითხებიან:**
**– რა მიზეზით ეყრებით ცოლს?**
**– იცი, ბატონო მოსამართლე, ჩემს ცოლს ტყუპისცალი და ჰყავს, ორი წვეთი წყალივით ჰგავანან ერთმანეთს. ჰოდა, ერთმანეთში მეშლება და...**
**– როგორ? საერთოდ ვერ არჩევთ? ნუთუ მათ შორის არანაირი განსხვავება არ არის?**
**– როგორ არა... სწორედ მაგ განსხვავებისთვის მინდა გაყრა...**

* * *

**მოდის სიახლეები: საყურეები ტრუსების ფერის მიხედვით.**

* * *

**მიხოს ზურგზე სიდედრი მოუკიდებია:**
**– მიხოო! სად მიგყავს ეგ ქალი?!**
**– ვენახი უნდა შავწამლო!**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24